# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 6 მარტი, 2012 წელი.

№44 (6921)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ ანაზღაურების გარეშე მუშაობენ ②



## ივანიშვილი გაერთიანებას არ ჩქარობს... ④

## საგანგებო განცხადება

### ბიძინა ივანიშვილმა პოლიციელებს მოუწოდა, თავი შეიკავონ უკანონო ბრძანებების შესრულებისგან

კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისში ბატონი ბიძინა ივანიშვილი საგანგებო განცხადებით წარდგა ხაშურში მომხდარ ინციდენტზე და პრეზიდენტის გამოსვლაზე პარლამენტში.

„დამოუკიდებელი ექსპერტიზის დამატებითი ცნობის გარეშეც სიტუაცია ძალიან მარტივია, — აღნიშნა მან, — აბსოლუტურად ჯანმრთელი მოქალაქე პოლიციას გამოჰყავს საკუთარი სახლიდან და, გარკვეული დროის შემდეგ, იგი მოკლული მიჰყავთ პოლიციის შენობიდან.

მისი თქმით, პოლიცია, რომელსაც ევალება დაიცვას თითოეული მოქალაქის სიცოცხლე, ამის მაგივრად, მისი ძალადობის მსხვერპლი გახდა!

ბიძინა ივანიშვილმა სოლომონ ქიმერიძეს სააკაშვილის ძალადობრივი იდეოლოგიის კიდევ ერთი მსხვერპლი უწოდა. „უკვე რამდენიმე მსხვერპლი გვყავს და კიდევ ახალი მსხვერპლი დაემატა“.

ბიძინა ივანიშვილმა გაიხსენა ქიმერიძის გარდაცვალების მეორე დღეს პრეზიდენტის გამოსვლა პარლამენტში: „იქ კარგად ჩანდა, რომ ოპოზიციონერმა დეპუტატებმა მას მწვავე კითხვები დაუსვეს, იმის მაგივრად, რომ პრეზიდენტს პასუხი გაეცა, რაზეც ის ვალდებული იყო, მან პარლამენტის შენობაშივე გამოავლინა და აჩვენა ძალადობრივი იდეოლოგიის მზაობა, ანუ თავი ვერ შეიკავა და ლამის იქვე მოისურვა ოპოზიციონერი დეპუტატის დასჯა. მან მოასწრო იმის გაფიქრება, რომ ამის ძალაუფლება ჯერ კიდევ არ ჰქონდა და მხოლოდ ამან შეაჩერა, რომ სასჯელისგან თავი შეეკავებინა“.

ბიძინა ივანიშვილმა მოუწოდა პოლიციის თანამშრომლებს, თავი შეიკავონ ყოველგვარი უკანონო ბრძანების შესრულებისგან. „ნუ გახდებიან სააკაშვილის იდეოლოგიაზე აგებული ძალადობრივი სისტემის მსხვერპლი. ნუ ჰგონიათ და ნუ აქვთ იმის ილუზია, რომ ეს ძალიან დიდხანს გაგრძელდება და სააკაშვილი მათ მუდმივად დაიცავს. ეს სისტემა ძალიან მალე დაიმსხვრევა, ძალადობრივ სისტემას ვგულისხმობ. და თითოეული, ვინც უკანონო ქმედებას ახორციელებს და უკანონო ბრძანებულებებს ემორჩილება, ვინც არღვევს კანონს, აუცილებლად კანონის წინაშე სრული სიმკაცრით აგებს პასუხს“, — დასძინა ივანიშვილმა.

„გაძლევთ პირობას, რომ ეს ძალიან მალე მოხდება — სულ ცოტა დრო დარჩა — 7 თვე... გპირდებით, თითოეული მათგანი ძალიან მკაცრად აგებს პასუხს კანონის წინაშე“.

## მოსკოვ-თბილისის დაუსწრებელი დიალოგი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კრემლისთვის სააკაშვილი მიუღებელი ლიდერი აღარ არის? ⑤

## ხელისუფლებას მე-9 არხის გახსნა აშინებს ②



## თელავის 100-მილიონიანი პროექტი „ჰაერზე იწყება“ ③

## საქართველოს ლიდერებმა ელჩები გადათვალეს და გადაწყვიტეს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აღადგინონ ⑧



## „მადნეულის“ ბუნდოვანი მომავალი ⑤



ბრიფინგი

# საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ ანაზღაურების გარეშე მუშაობენ

**კოალიცია „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ ორშაბათის ბრიფინგზე ყურადღება გაამახვილა რუსეთის მხრიდან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შემოთავაზებაზე.**

განცხადების ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა სავიზო რეჟიმის გაუქმებას რუსეთის მხრიდანაც, დადებითაც შეაფასა, რადგან ეს საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეებს საშუალებას მისცემთ, იოლად იარონ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში. ეს ყველაფერი მიმოსვლასთან ერთად ცხოვრებასაც გაუიოლებს ჩვენს მოქალაქეებსო.



ხოლო რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის თაობაზე ფანჯიკიძემ განაცხადა: „სანამ საქართველოში რუსეთის ორი საელჩო არსებობს — ე. წ. სამხრეთ ოსეთში და ე. წ. დამოუკიდებელ აფხაზეთში, თბილისში მესამე საელჩოს ამოქმედებით აბსურდულ სიტუაციას მივიღებთ. სანამ ეს ფაქტია, მანამდე ყოველგვარ დიპლომატიურ ურთიერთობაზე ლაპარაკი რუსეთთან გამორიცხულია“.

პრესსპიკერის აზრით, რუსეთთან ასეთი ლაპარაკი გამორიცხულია იმიტომაც, რომ მას ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი და არ აღიარებს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს საერთაშორისო თანამეგობრობის მსგავსად.

მაია ფანჯიკიძემ რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებს ძალზე მნიშვნელოვანი თემა უწოდა. „ვფიქრობ, მოხდა ის, რასაც ყველა ელოდა — არავის არ გაუკვირდა, რომ პუტინი ისევ აირჩიეს. მე, პირადად, გამიკვირდა ასეთი მაღალი პროცენტი — არ ვიცი, იმის გამო, რომ არჩევნები გაყალბდა თუ მას მართლა ჰყავს ამდენი მხარდამჭერი? — ვერ გეტყვით. ვფიქრობ, უნდა დაველოდოთ ოფიციალური შედეგების გამოცხადებას.

ეს სიტუაცია წინასწარ ვიცოდით, და თუ როგორ უნდა განვითარდეს ურთიერთობა რუსეთთან, მომზადებულნი ვყოფილიყავით, ხელისუფლებას ვგულისხმობ. კიდევ ერთხელ ვამბობ, არანაირი სიურპრიზი ამ არჩევნებზე არ მომხდარა“.

მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი რუსეთში პირველი აქტივების გაყიდვას აპირებს. „თითოეულ ობიექტზე არის ორი-სამი დაინტერესებული პირი, ხელშეკრულება ხელმოწერილი არ არის, მაგრამ ეს პროცესი მიმდინარეობს. ჩვენი ვარაუდით, აპრილისთვის უკვე უნდა იყოს კონკრეტული შედეგები“.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა ხდება ახალგაზრდულ მოძრაობაში, საიდანაც ზაზა სვანაძე და სხვები წავიდნენ, მაია ფანჯიკიძემ დასძინა, რომ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში ყველაფერი კარგადაა. ისინი აქტიურობენ და ბევრ მათგანს ვიხილავთ მომავალ კვირაში ახალ-ახალ აქციებზე.

„რაც შეეხება თითქოსდა წასულებს, ახალგაზრდული მოძრაობა ისეთი რამაა, ზოგი მიდის, ზოგი მოდის. ეს არ არის მყარი გაერთიანება — პარტიული სტრუქტურა, არ არის პარტიული სიები. შესაბამისად, ინტერესის მიხედვით ახალგაზრდები ხან მიდიან, ხან მოდიან. ძალიან მრავალფეროვანია ეს მოძრაობა, სადაც მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელია. მათ შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა ინტერესი, შეხედულება, სხვადასხვა აქციის ჩატარების სურვილი. ამისდა მიხედვით ჯგუფდებიან. შესაბამისად, ეს ჯგუფები იზრდება ან მცირდება. მოკლედ, დინამიური პროცესია. თუ ამ პროცესში ბატონმა ზაზამ და სხვებმა ვერ იპოვეს თავისი ადგილი, სამწუხაროა, მაგრამ მათთვის კარი არავის არ მიუხურავს და არავითარ აქტივობაზე უარი არ უთქვამს“.

მაია ფანჯიკიძეს ჰკითხეს, მართალია თუ არა, რომ „ქართული ოცნება“ მოლაპარაკებებს აწარმოებს ქართული ესტრადის ვარსკვლავებთან — ლელა წურწუმიასთან, სტეფანესთან და სხვებთან გადასაბირებლად? პრესსპიკერმა აღნიშნა, რომ ასეთი რამ არ მომხდარა. „მოსალაპარაკებელი განა რა არის? ისინი მსახიობები არიან, თავიანთ საქმეს აკეთებენ, ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. არა მგონია, რომ მათ პოლიტიკაში ჩაბმა სურდეთ ან ჩვენ მოგვსლოდა ეს აზრად“.

მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ „არავის გადაბირებაზე არ მიდის მუშაობა“, რომ საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ ყველა მუშაობს ანაზღაურების გარეშე. ვისაც სურს, მოწოდებით დაგვიდგეს მხარში, ყველას მივესალმებითო.

მან ბრიფინგზე დაადასტურა პატრიარქთან ერთად პაატა ბურჭულაძისა და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა და უარყო პოლიტიკაში პაატა ბურჭულაძის შესაძლო მოსვლა: „არ ვიცი, აქამდე იცნობდნენ თუ არა ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, მათ ძალზე თბილი და მეგობრული შეხვედრა ჰქონდათ.

პაატა ბურჭულაძე სახელგანთქმული მომღერალია, აქვს მოქმედი კარიერა და არა მგონია, რომ პოლიტიკის გამო შეწყვიტოს ბრწყინვალე კარიერა“... — დაასრულა მაია ფანჯიკიძემ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

პრესკონფერენცია

# ხელისუფლებას მე-9 არხის გახსნა აშინებს

**ტელეკომპანია მე-9 არხის გახსნასთან დაკავშირებით ტელევიზიის ახალდანიშნულმა დირექტორმა კობა ბექაურმა პრესკონფერენცია გამართა ახალი ამბების სააგენტო „ინტერპრესში“.**

კობა ბექაურმა ტელევიზიის გახსნის პრობლემებზე და ხელისშემშლელ ფაქტებზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, ტელევიზიაში არსებულ მდგომარეობას ახლა ეცნობა და როდის გავა ეთერში და როდის განაახლებს მაუწყებლობას მე-9 არხი, გადაწყვეტით ამის თქმა, ჯერ არ შეუძლია.



გამიზნულად ხდება ხელის შეშლა და აპარატურის დაზიანება, ხელისუფლება ყველა ზომას მიმართავს, რათა ტელეკომპანია მე-9 არხმა არ დაიწყოს მაუწყებლობა.

სატელევიზიო აპარატურის დაზიანების ექვსი შემთხვევა იყო. საბაჟოზე სალი აპარატურა მოდის მაგრამ, როგორც კი გამოსცდება საბაჟოს, აპარატურა დაზიანებულია არა გარეგნულად, არამედ — შინაგანად, სავარაუდოდ ლაზერული დასხივებით, — განაცხადა კობა ბექაურმა.

თუ ვინმესთვის ცხადი არ არის, მალე დავანახებთ, რომ ხელისუფლება ადამიანის უფლებებს არღვევს და სიტყვის თავისუფლებას ზღუდავს, რადგან ხელს უშლის ტელეარხის გახსნას.

ტელეკომპანია მე-9 არხიდან ჟურნალისტების მასობრივი დათხოვნის შესახებ ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, — განმარტა ბექაურმა, „რაც არ არსებობს, იმას ვერ დაითხოვენ“. მე-9 არხში ძალიან ცოტა ადამიანი იყო დასაქმებული, ამერიკული ჯგუფის დახმარებით, ახლა მათი გადამზადება და ტესტირება მიმდინარეობს. რაც საბოლოოდ კვალიფიციურ კადრებსა და ჟურნალისტებს მოგვცემს. ასევე, კობა ბექაურის თქმით, შეიქმნება საზოგადოებრივი საბჭო 3 ადამიანის შემადგენლობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მე-9 არხის სარედაქციო დამოუკიდებლობას.

ტელეკომპანია მე-9 არხს გარკვეული ვალდებულებები აქვს საკაბელო პროვაიდერებთან, ისინი ვალდებული არიან, მალე დაიწყონ მაუწყებლობა. თუ გავითვალისწინებთ ხელის შემშლელ ფაქტორებს, ალბათ, მე-9 არხი თავიდან ლიმიტირებული ეთერით გავა. მაგრამ მთავარია, რომ ტელევიზია, ეს ვინმეს ხელს აძლევს თუ არა, მაინც დაიწყებს მაუწყებლობას, — დაასრულა კობა ბექაურმა.

**ლია გრიგოლია**

ფაქტი

# ხობში კოალიცია „ქართული ოცნების“ რეგიონული ოფისი გაიხსნა

**ხობში გუშინ კოალიცია „ქართული ოცნების“ პირველი რეგიონული ოფისი გაიხსნა. ღონისძიებას „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია , „კონსერვატორი“ ზვიად ძიძიგური და**



**„ქართული ოცნების“ საინიციატივო ჯგუფის წევრი გოგლა ჟვანია ესწრებოდნენ.**

ირაკლი ალასანიას განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ კოალიციური ოფისების გახსნა დაიწყო და სიმბოლურიც არის, რომ პირველი ოფისი სწორედ სამეგრელოში, ხობის რაიონში იხსნება.

მისი შეფასებით, დღეს იწყება რეალური მუშაობა იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალური მოძრაობა“ დაამარცხოს საპარლამენტო არჩევნებში და უმცირესობაში გადაიყვანოს.

— სწორედ სამეგრელოდან დაიწყება ერთ-ერთი მთავარი ფრონტი ამ ბრძოლაში ჩვენი წარმატებული შედეგისა და გამარჯვებისთვის, — განაცხადა ალასანიამ.

გოგლა ჟვანიას თქმით კი, „ქართული ოცნება“ ყველა ოჯახში უნდა შევიდეს და ამის საყრდენი პუნქტები სწორედ კოალიციის ოფისები იქნება, რომელსაც საუბნო ოფისებიც მოჰყვება. — ჩვენ ადამიანებს უნდა ავუხსნათ, უნდა მოვუყვეთ, რატომ, რისთვის მოვდივართ და რა მოჰყვება ჩვენს მოსვლას ხელისუფლებაში, — განაცხადა მან.

როგორც ზვიად ძიძიგურმა აღნიშნა, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური კოალიციის საქმიანობა სამეგრელოს ყველა სოფელში დაიწყება. მისივე თქმით, დღევანდელი დღე და ამ ოფისის პრეზენტაცია სწორედ იმის დასტურია, რომ „ქართული ოცნებისთვის“ მთავარი პრიორიტეტი სამეგრელოს მოსახლეობის გვერდით დგომა იქნება.

— ტყუილად ჰგონიათ სამეგრელოს სამხარეო ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ხობის რაიონი ან მთელი სამეგრელო, ისევ ისე ექნებათ ჯიბეში ჩადებული, როგორც ამას აქამდე ახერხებდნენ, — განაცხადა ძიძიგურმა.

**ინტერპრესნიუსი**

ინფორმაცია

## ვანო მერაბიშვილმა სოლომონ ქიმერიძის საქმეზე კომენტარი გააკეთა

**საქართველოს პოლიცია იცავს საქართველოს მოქალაქეების უფლებებს სოფლებში, ქალაქებში, ქუჩებში და მით უმეტეს, ის უნდა დაიცვას პოლიციის შენობებში, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა სოლომონ ქიმერიძის საქმის კომენტირებისას განაცხადა.**

**მისივე თქმით, სპეციალურად შენდება გამჭვირვალე პოლიციის შენობები, რათა იქ ყველაფერი გამჭვირვალე იყოს.**

**— ჩვენი წინასწარი მოკვლევით, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს უბედურ შემთხვევას, თუმცა, ეს მაინც არის ალმაშფოთებელი ფაქტი, ამიტომ ახალი წესების შემოღება გადავწყვიტე. ჩვენ უფრო გამჭვირვალეს გავხდით პოლიციის შენობაში მისული ნებისმიერი სტუმრის, ნებისმიერი სტატუსის მქონე ადამიანის გადაადგილების და უსაფრთხოების დაცვის პროცედურებს. უახლოეს დღეებში გამოვცემთ შესაბამის ბრძანებულებას და ამ ბრძანებულების მთავარი ნაწილი იქნება ის, რომ დანაყოფის ხელმძღვანელი, რომელიც განყოფილებას ხელმძღვანელობს, ახალი ნორმების შესრულებაზე პირადად იქნება პასუხისმგებელი. ის იქნება პასუხისმგებელი მათ შორის უბედური შემთხვევის თავიდან აცილებაზე და იმისთვის, რომ ამ ბრძანებულების აღსრულებაზე მონიტორინგი განვახორციელოთ, ყველგან დავაყენებთ ვიდეოკამერებს, რომლებზე კონტროლიც ჩვენს გენერალურ ინსპექციას დაევალება, — აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა სატელევიზიო კომენტარში.**

## „ქართუ ბანკის“ იურიდიული სამსახურის უფროსმა თანამდებობა დატოვა

**„ქართუ ბანკის“ იურიდიული სამსახურის უფროსმა რამაზ ქურდაძემ თანამდებობა დატოვა. ამის შესახებ ქართული ტელეკომპანიები იუწყებიან. სამსახურიდან წასვლის მიზეზი ქურდაძემ სატელევიზიო კომენტარში თავად განმარტა. მისი თქმით, მას უჩვეულოდ მაღალი პრემია ჩაურიცხეს და მოსთხოვეს, რომ ეს თანხმა ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ ანგარიშზე გადაერიცხა, რაც არ გააკეთა.**

**— გადავწყვიტე, დამეტოვებინა თანამდებობა. რაც შეეხება ჩარიცხულ თანხას, მას, რა თქმა უნდა, არ გამოვიყენებ და ის დაუბრუნდება გადმომრიცხველს, — აღნიშნა ქურდაძემ.**

**მისივე განცხადებით, ის ბანკში დაარსების დღიდან მუშაობს და იმ პოლიტიკური შეხედულებებისთვის, რომელიც ღიად ჰქონდა გაცხადებული, ამ დრომდე დისკომფორტი არ შექმნია.**

**— რაც ბანკი აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ საქმიანობაში, ამან დიდი დაღი დაასვა ჩემს საქმიანობას, შესაბამისად, მუშაობაც გამიჭირდა, — თქვა ქურდაძემ.**

ინტერპრესნიუსი

ქალაქის მომავალი

# თელავის 100-მილიონიანი პროექტი „ჰაერზე იწყება“

**თელავის 100-მილიონიანი რეაბილიტაცია 2 კვირაში უნდა დაიწყოს, ჯერჯერობით კი მისი პროექტი თვალით არავის უნახავს. გამოქვეყნებაზე ლაპარაკი ზედმეტია, პროექტი არ აქვთ ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების არც ერთ სტრუქტურაში. ასეთი რეალობით საკმაოდ შეწუხებულნი არიან სპეციალისტები. ისინი ეჭვობენ, რომ თელავიც სიღნაღის ბედს გაიზიარებს.**

თელავში სარეაბილიტაციო სამუშაოები 15 მარტს დაიწყება. თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის ვაჟა ზუროშვილის განცხადებით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე ქუჩის და ერეკლე მეფის სამუზეუმო კომპლექსის რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის შემდეგ ერეკლეს სასახლე ნაწილობრივ შეიცვლება. თელავის რეაბილიტაციისთვის 100 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება ჩოლოყაშვილის, მერაბ კოსტავას, ნადიკვრის, ანტონ კათალიკოსის და ლეონიძის ქუჩებზე, ერეკლე მეორის გამზირზე, ვახვახიშვილების გალავნისა და ჭავჭავაძის მოედანზე მდებარე 152 ბინას და სხვა შენობებს.

**„რეაბილიტაციის მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებულია. გაკეთებულია ხარჯთაღრიცხვა. არქიტექტორების მიერ დამუშავებულია პროექტები. გამოცხადებულია ტენდერი სამუშაოების შესასრულებლად. ბინებზე ფასადური შეკეთება მოხდება. სრულად განახლდება საკომუნიკაციო სისტემები, რომლებიც მიწის ქვეშ განლაგდება. პროექტზე თბილისიდან მოწვეული არქიტექტორთა ჯგუფი მუშაობდა, ვინც დაამუშავა ძველი თბილისის არქიტექტურა. ძალიან ლამაზი პროექტებია. თელავი ზღაპრული სილამაზის ქალაქი გახდება“,** — განაცხადა ზუროშვილმა.

ერთი სიტყვით, კახეთის მთავარი ქალაქის რეაბილიტაცია საცაა დაიწყება, მაგრამ რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც ერეკლე მეფის სასახლის რეკონსტრუქციაც იგეგმება, ხელმისაწვდომი არ არის. კახეთის საინფორმაციო ცენტრმა პროექტი ვერც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან და ვერც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან ვერ მიიღო.

**„პრესსამსახურის ორივე თანამშრომელი მივლინებაშია. კანცელარიაში პროექტი არ გვაქვს. როცა გვექნება, ვებგვერდზე ავტვირთავთ“,** — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მუნიციპალური განვითარების ფონდის თანამშრომელმა ნინო ფხაკაძემ.



არაერთი მიმართვის მიუხედავად, პროექტს არც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ასაჯაროებს. პროექტი არც თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში აქვთ, არადა თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის პეტრე კიკნაძის განცხადებით, ტენდერის შედეგად გამარჯვებული ორგანიზაციები უკვე გამოვლინდნენ და სამუშაოები 15 მარტს დაიწყება.

ჯერჯერობით კი ქალაქის რეაბილიტაცია იმით „დაიწყო“, რომ თელავში ტურისტული კომპლექსი „ზუზუმბოს“ მშენებლობა გადაიდო. თელავის გამგებლის პეტრე კიკნაძის ინფორმაციით, კომპლექსის მშენებლობას ამჟამად გაზაფხულზე შეუდგებიან და 2012 წლის ბოლოს დასრულდება, არადა მშენებლობის დაწყება თებერვალში იგეგმებოდა.

როგორც კიკნაძე აცხადებს, „ზუზუმბოს“ ტერიტორიაზე ჯერ მხოლოდ გარე ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა და მშენებლობა თელავის რეაბილიტაციის პარალელურად გაგრძელდება. პირველ ეტაპზე დასასვენებელ კომპლექსში 5 კოტეჯი განთავსდება, რომლებსაც წლის ბოლომდე კიდევ რამდენიმე შეემატება. პეტრე კიკნაძის განცხადებით, ტერიტორია ნაძვნარითაა დაფარული და დიდი რაოდენობით კოტეჯების აშენების უფლებას კერძო ინვესტორს თელავის გამგეობა არ მისცემს. თუმცა, „ზუზუმბოს“ ტერიტორიაზე ათეულობით კომპლექსი აუცილებლად აშენდება და დასასვენებელი ცენტრის დასრულების შემდეგ, როგორც გამგეობაში აცხადებენ, თელავი ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრად გადაიქცევა.

კახეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის რეაბილიტაციას სპეციალისტები ფრთხილად ეკიდებიან. **„ჩემს კოლეგებთან, პროფესიონალებთან ერთად მქონდა საუბარი ამ საკითხზე და, ჩვენი აზრით, მთავარია თითოეულ ნაგებობას თავისი ეპოქის სახე შეუნარჩუნდეს. მაგალითად, ჩარგალში ვაჟა-ფშაველას სახლი დაშალეს, საზოგადოებასთან შეთანხმების გარეშე. ვაჟაობაზე რომ ავედით, ვაჟას ძველი სახლის ნაცვლად, რომელსაც ძალიან კარგად ვიცნობდით, დაგვხვდა ახლადაშენებული სახლი, რომელსაც ვაჟასთან არაფერი საერთო აღარ ჰქონდა.**

**ახლა ასეთი ამბავია სიღნაღშიც. ჩამოდიან ტურისტები, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ურთიერთობა აქვს არქიტექტურასთან. უყურებენ ამ ახალ ნაგებობებს. ურჩევნიათ, ძველ სარდაფში ჩავიდნენ, ვიდრე ახალგაკეთებულ შენობებში, რომლებსაც ახლადდამზადებული კრამიტი, ხე-მასალა და აგური აბსოლუტურად უკარგავს იმ ფასს და სილამაზეს, რასაც პირვანდელი ჰქვია“,** — აცხადებს ისტორიკოსი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი რჩეულიშვილი.

ეკა ბაქრაძე

ინფორმაცია

## თბილისის დასუფთავების სამსახურში არაფერი შეიცვლება

**პარლამენტში შესული კანონპროექტი „თვითმმართველი ორგანოების შესახებ“ თბილისის დასუფთავების სამსახურს არ ეხება. ამის შესახებ ჟურნალისტებს საკრებულოში თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თამაზ შოშიაშვილმა განუცხადა.**

**— ორი წელია ზაზა გაბუნია საკრებულოს წევრია და მრჩება შთაბეჭდილება, რომ იგი არ იცნობს თბილისის საკრებულოს ფუნქციებსა და მოვალეობებს. მსგავსი არაფერი არ იგეგმება, პარლამენტში მიმდინარეობს კანონპროექტის „თვითმმართველი ორგანოების შესახებ“ განხილვა. რაც შეეხება კანონს „თბილისის შესახებ“, იქ არანაირი ცვლილებები არ იგეგმება და თბილისის დასუფთავების სამსახურში არაფერი შეიცვლება, — აღნიშნა თამაზ შოშიაშვილმა.**



**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ასევე დასძინა, რომ შესაბამისად, თბილისის საკრებულოს ფუნქციების დაკნინებაზე საუბარი არ შეიძლება.**

**საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა ზაზა გაბუნიამ გუშინ თბილისის საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ პარლამენტში შესულია კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს 1 მაისიდან კერძო სამართლის იურიდიული პირის შექმნას, რომელიც ქვეყნის მასშტაბით დასუფთავების სერვისს განახორციელებს. გაბუნიას ცნობით, იურიდიული პირი დაექვემდებარება ინფრასტრუქტურის სამინისტროს. საკრებულოს წევრის განცხადებით, ამით თვითმმართველო ორგანოების როლი კნინდება.**

ინტერპრესი

სამეგრელოს მხარე

# ფოთის „ახალ რაიონში“ ჩასახლებული დევნილები ბუნტისთვის ემზადებიან

**ხელისუფლების მიერ წარმატებულ პროექტად მიჩნეული „ახალ რაიონში“ ქალაქ ფოთში ჩასახლებულ დევნილთა მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.**

**— მას შემდეგ, რაც ჩაგვყარეს ე.წ „ახალ რაიონში“ გაშენებულ სახლებში, გამკითხავი და ყურადღების მიმქცევი არავინ არის. სამაგიეროდ, ხელისუფლებას ხალხი ისე ყავს დაშინებული, ხმის ამოღებას ვერ ბედავენ, არადა, მოთმინების ფიალა აგვევსო, ამიტომაც უკვე მიდის ლაპარაკი საპროტესტო აქციების მოწყობასთან დაკავშირებით. მდგომარეობა კი ასეთია: წყლისა და გაზის პრობლემა გადაუწყვეტელია, ვართ მშიერ-მწყურვალნი, დაუბანელნი, გათბობის გარეშე, ცივ ოთახებში. არც ერთ ბინას არააქვს დამხმარე სათავსო, ამიტომაც, სხვადასხვა საოჯახო წვრილმანი ტომრებით გვიწყვია ისედაც ციცქნა სამზარეულოში, რაც საჭმლის კეთების საშუალებას არ გვაძლევს. დევნილთა კატეგორიებად დახარისხება კი იწვევს თვით დევნილებს შორის დაპირისპირებას და უკმაყოფილებას“,** — გვითხრეს ფოთელმა დევნილებმა. რამდენიმე მათგანის აღიარებით, ისინი იმდენად არიან გამწარებულნი, რომ უკვე შიშის გრძნობაც ეკარგებათ და აქტიურად ემზადებიან ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

# ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი კვლავ უპატრონოდაა!

**ზუგდიდელთა სავიზიტო ბარათი — ეკატერინე ჭავჭავაძის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაშენებული ბოტანიკური ბაღი ხუთ წელზე მეტხანს იყო უპატრონოდ მიგდებული. მას შემდეგ, რაც ბოტანიკური ბაღი ჩამოართვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, ვერა და ვერ გაირკვა, თუ ვის დაქვემდებარებაში იყო ის, რის გამოც ბაღი გავერანდა, გაჩანაგდა, განადგურდა უნიკალური ჯიშის ხეები.**

ადგილობრივი ხელისუფლება ამ ხნის განმავლობაში სულ ითხოვდა ცენტრალური ხელისუფლებისაგან დაეთმოთ მათთვის ბოტანიკური ბაღი, მაგრამ ეკონომიკის სამინისტრომ, რომლის შემადგენლობაშიც იყო ბაღი ფორმალურად, ჯიუტად არ თმობდა მას. ამ საკითხის მოგვარებაში აქტიურად ჩაერთო ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ თოდუაც: **„ბოტანიკური ბაღი ყველაზე მტკივნეული საკითხია ჩემთვის. მახსოვს შატალოზე დავდიოდით იქ ბავშვობაში, დღეს ეს ბაღი დანგრეული და გაჩანაგებულია. ისიც ვიცი, რომ ბაღი უპატრონოდ არის მიგდებული და არც საჯარო რეესტრშია გატარებული, ჰაერშია ჩამოკიდებული, ეკონომიკის სამინისტრო ამბობს, რომ ჩემიაო. ჩემი სურვილია, ბოტანიკური ბაღი და დადიანების მუზეუმი იყოს არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად, ერთ კომპლექსში“** — თქვა რამდენიმე თვის წინათ ზუგდიდელებთან შეხვედრისას ფრიდონ თოდუამ.



ადგილობრივი ხელისუფლებისა და მაჟორიტარი დეპუტატის ძალისხმევამ და აქტიურობამ შედეგი გამოიღო. გასული წლის დეკემბერში ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, როგორც იქნა, გადაეცა ზუგდიდის ადგილობრივ ხელისუფლებას. ყველა ფიქრობდა, რომ უმალვე დაიწყებოდა ბოტანიკურ ბაღში აღდგენითი სამუშაოები, თუმცა სამი თვე გავიდა და ბაღში არანაირი სამუშაოები არ მიმდინარეობს, არც ორგანიზაციული საკითხებია მოგვარებული.

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან კონჯარიას განმარტებით ჯერჯერობით არ არის გარკვეული, თუ რა ფორმით უნდა იარსებოს და იფუქციონეროს ბოტანიკურმა ბაღმა. არის მოსაზრებები, რომ ბოტანიკურ ბაღს მიუერთონ ზუგდიდის ცენტრალური ბულვარი, ასევე ანაკლიისა და განმუხურის ტურისტული ინფრასტრუქტურა და ჩამოყალიბდეს ერთიანი სტრუქტურა. თუ რამდენ ხანს გასტანს ეს პროცესი, გარკვეული არ არის, არადა ბოტანიკური ბაღი საჩქაროდ ითხოვს შველას.**

ბოტანიკური ბაღისადმი დაკავშირებული საკითხის გაჭიანურება განაპირობა ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ცენტრალური სტადიონის დემონტაჟმა, სადაც ბაღის გაფართოების მიზნით მიმდინარეობს სამუშაოები. ზუგდიდის რეკონსტრუქციის ავტორის ლევან სოლოღაშვილის განმარტებით, სარეკონსტრუქციო სამუშაოებს აწარმოებს ესპანელ არქიტექტორთა ჯგუფი. — საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ გადავწყვიტეთ ზუგდიდის ბულვარს აღვუდგინოთ ძველი ფუნქცია, ბულვარი გაიზრდება სიგრძეში და დაუკავშირდება დადიანების ეზოს, — აღნიშნა ლევან სოლოღაშვილმა. ამასვე ითხოვდა საზოგადოება „ზუგდიდელიც“. — **ჩვენი სურვილიცაა დადიანების ბაღს დაუბრუნდეს ძველი იერ-სახე, ანუ ისე, როგორც ჰქონდათ დადიანებს — ბულვარი შეუერთდეს ბოტანიკურ ბაღს,** — განაცხადა საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარემ ოთარ ფაცაციამ.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

განსჯა



**ქართულ მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოს საკითხებში ამერიკელი ექსპერტის, კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის ლინკოლნ მიტჩელის ინტერვიუს, რომელიც მან ერთ-ერთ ქართულ ჟურნალს მისცა. მიტჩელი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს მიმოიხილავს და თავის მოსაზრებებს გამოთქვამს ქვეყანაში მოსალოდნელ პროცესებზე. იგი აცხადებს, რომ ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობები პერსონალური არ არის და არც სააკაშვილია ამერიკისთვის საქართველოს ხელმძღვანელის პოსტზე უალტერნატივო კანდიდატურა. თუმცა მიტჩელი იმასაც ამბობს, ობამას სააკაშვილისთვის პირდაპირ რომ ეთქვა, რომ მისი პრემიერ-მინისტრობა არ სურს, სააკაშვილი ასეთ თამამ განცხადებებს ვერ გააკეთებდა. ლინკოლნ მიტჩელის განცხადებების კომენტირება presage.tv-მ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს სთხოვა.**

# ივანიშვილი გაერთიანებას არ ჩქარობს...

— უნდა დავეთანხმო მიტჩელს ლოგიკაში, რომ სააკაშვილის განცხადებაში არის იმის პოტენცია, რომ დღევანდელი პრეზიდენტის კარიერამ შესაძლოა შემდეგ სხვა მიმართულება მიიღოს და ამაში გასაკვირს ვერაფერს ვხედავ. სააკაშვილს რომ არ სურდეს პოლიტიკური კარიერის გაგრძელება, ეს იქნებოდა გასაკვირი. ამდენად, თვითონ მიტჩელის ეგ რეპლიკა, მას სურს თუ არ სურს საკითხის ასე დაყენება, ცოტა გულუბრყვილოდ მეჩვენება.

**— თქვენი აზრით, სააკაშვილის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მას არ უნდა იყოს „კოჭლი იხვი", იძლევა თუ არა იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტების შეხვედრაზე ობამას მხრიდან სააკაშვილის მომავალთან დაკავშირებით პირდაპირი საუბარი არ ყოფილა?**

— ობამა პირდაპირ ვერ ეტყოდა ვერაფერს იმიტომ, რომ თუნდაც სააკაშვილს პრემიერ-მინისტრის სახით უნდოდეს ძალაუფლებაში დარჩენა, ამას კონსტიტუცია არ ეწინააღმდეგება. ამას ეწინააღმდეგება დემოკრატიული ტრადიციები. ამ ტრადიციების დარღვევა კი კანონის დარღვევა არ არის. ამდენად, პირდაპირი ზეწოლის განხორციელების უფლება არავის აქვს. რეკომენდაციის, ან მინიშნების დონეზე ასეთი რამის თქმა ყველას შეუძლია. ობამამ პრინციპში ისევე, როგორც მისი ადმინისტრაციის სხვა წევრებმა რამდენიმეჯერ გააკეთა ასეთი მინიშნებები. ეს კი არ ნიშნავს იმას, რომ ობამას ხელში უჭირავს სააკაშვილის სურვილები. შეიძლება ობამა ანიშნებდეს რამეს, მაგრამ სააკაშვილს სურდეს სხვა რამ.

**— ლინკოლნ მიტჩელმა ამერიკასა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების პერსპექტივებზეც ისაუბრა. მან განაცხადა, რომ ეს ხელშეკრულება ქართულ მხარეს შრომის კოდექსის გადახედვისკენ უბიძგებდა, რადგანაც ობამას ადმინისტრაცია არასოდეს გააფორმებს ასეთ შეთანხმებას ქვეყანასთან, რომელიც დამსაქმებლებს საქართველოს მსგავსად ექცევა. ამასთან დაკავშირებით რისი თქმა შეგიძლიათ?**

— უდავოდ ვეთანხმები, ამერიკა ეცდება, ისევე როგორც ევროკავშირი ცდილობს, საქართველოს კანონმდებლობა ამ სფეროში მიიყვანოს იმ კონდიციამდე, რომელიც მის სტანდარტებს იზიარებს. ჯერჯერობით, ევროკავშირის ძალისხმევა უშედეგოა. ობამასთან ვიზიტის შემდეგ ჯერ ცოტა დრო გავიდა და არ მოხდა დეტალიზაცია იმისა, თუ რა უნდა გაკეთდეს იმ ხელშეკრულების ფარგლებში. სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი ასპექტი იქნება კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა.

**— მიტჩელმა ისიც თქვა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით ამერიკელ მომხმარებელს ვერ აიძულებ ქართული პროდუქციის შეძენას. ამიტომ საქართველოს ძალიან კონკურენტულ ბაზარზე მოუწევს გასვლა. ამ მხრივ რამდენად გააჩნია ჩვენს ქვეყანას პოტენციალი, რომ ამერიკის ბაზარზე შეიტანოს თავისი პროდუქცია?**

— პრობლემა ზუსტად არის შენიშნული. საერთოდ, მიტჩელი უდავოდ ბევრ კონკრეტულ პუნქტებზე ამახვილებს ყურადღებას და ეგ პრობლემა მართლაც არსებობს. ჩვენ გვაქვს სავაჭრო ურთიერთობაში ხელსაყრელი პირობები ევროკავშირთან, მაგრამ ვერ ვიყენებთ, ვინაიდან ჩვენი პროდუქციის სტანდარტი არ აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს. ამერიკის ბაზარზეც სტანდარტები ჩვენთან არსებულისგან განსხვავებულია. ამდენად, საეჭვოა, რომ ასეთმა ქვეყანამ შეძლოს საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილება.

რაც შეეხება კონკურენციას, ევროკავშირის ბაზარზეც დგას ეგ პრობლემა და ამერიკისაზეც, რომ ჩვენ ძლიერი კონკურენციის პირობებში მოგვიწევს შესვლა. არ არის გამორიცხული, ამერიკის ადვილი თანხმობა სავაჭრო ურთიერთობების რეჟიმის შემსუბუქებაზე, განპირობებული სწორედ იმით, რომ მან იცის, ამით დიდი არაფერი შეიცვლება, იცის, რომ ეს პირობები, რომელიც წაყენებულია, რთულ მდგომარეობაში ჩააყენებს საქართველოს. ასე რომ, შესაძლოა რეალურად საქართველომ ამერიკის ბაზარზე ვერაფრის შეტანა ვერ შეძლოს. დიდი კონკურენციის პირობებში ვაჭრობას იმხელა სარეკლამო სამუშაოების ჩატარება უნდა, რომ მხოლოდ ეს მოითხოვს კოლოსალურ თანხებს. ასე რომ, ყველა ეს ჩამოთვლილი გარემოებები რეალობის იერს უკარგავენ ამ პროცესს, უფრო სათქმელ და სადეკლარაციო მომენტად ტოვებენ ამ სავაჭრო შეთანხმებას, ვიდრე რეალურ, საქმიან ფაქტად.

**— ლინკოლნ მიტჩელი ასევე ამბობს, რომ თუკი ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია უფრო უკეთესად გაეცნობა ქართული ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს და მათ მიმართ ნდობით აღიჭურვება, საქართველოში არჩევნებამდე შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალისტურია ასეთი მოლოდინი?**

— მიტჩელი იმასაც ამატებს, რომ თუკი, ამერიკა საქართველოსთან მიმართებაში თავის თავზე უფრო მეტს აიღებს, ვიდრე დღეს, ეს აჯობებსო, ვინაიდან ისედაც, ამერიკას ბრალდება ყველა პოლიტიკური პროცესი, რაც საქართველოში მიმდინარეობს. საერთოდ, ვარდების რევოლუციის შემდეგ ველოდი მაგ ფორმულას, რომ თუკი რაღაც პროცესს (მათ შორის ვარდების რევოლუციასძ ამერიკა მხარს უჭერს, მაშინ ეს ხელშეწყობა მარტო ფინანსურად კი არ უნდა გამოიხატოს, არამედ ინტელექტუალურადაც. ხელისუფლებამ ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა ისეთი, რომელიც მოსახლეობის დიდ ნაწილს განაწყობს უარყოფითად როგორც თვითონ ხელისუფლების მიმართ, ასევე იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც, თუ შეიძლება ითქვას, ეხმარება ხელისუფლებას შეცდომების დაშვებაში და ანეზივრებს ხელისუფლებას ამ შეცდომების დაშვების თვალსაზრისით. ასეთი გამნეზივრებელი გამოდის ამერიკა და ამით საქართველოში ამერიკის რეიტინგი ეცემა.

**— და ბოლოს, ბატონო რამაზ ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ასევე იმ განაცხადებების გათვალისწინებით, რაც თავის პოლიტიკურ მომავალთან დაკავშირებით სააკაშვილმა პარლამენტში გააკეთა, მინდა გკითხოთ, როგორ უყურებთ „სახალხო კრების" მოწოდებას ბიძინა ივანიშვილისადმი, რომ ოპოზიციამ ერთიანი ფრონტით უნდა შეუტიოს სააკაშვილის ხელისუფლებას?**

— ეგ მიმართულება ახალი არ არის და ამაზე ხშირად საუბრობენ. ქალბატონი ნონას და მთლიანად „სახალხო კრების" ავტორიტეტი ასეთ მოწოდებას გარკვეულ წონას აძლევს, მაგრამ თავისთავად იდეა ძველია. ამ იდეას უნდა აჰყოლოდა საზოგადოების ის ნაწილი, ვისზეც მისი განხორციელებაა დამოკიდებული, მაგალითად, ივანიშვილის მხარე, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთ გაერთიანებას ივანიშვილი არ ჩქარობს და ამიტომ ანალოგიური მოწოდებების აზრს, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ.

**რუსა უშიკიშვილი**

ინფორმაცია

# „ლეიბორისტები" ტარიფების დაწევას ითხოვენ

**ლეიბორისტული პარტია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილს ელექტროენერგიის ტარიფის დაწევას სთხოვს.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, ელექტროენერგიის ტარიფი კვლავ მაღალია და რეალურ საფასურს არ შეესაბამება.**

**ამას „ლეიბორისტები" აპროტესტებენ და გურამ ჩალაგაშვილს წერილს გაუგზავნიან.**

**— მიუხედავად ფორმალური დამოუკიდებელი სტატუსისა, თქვენდამი რწმუნებული კომისია გადაქცეულია ხელისუფლებისა და მონოპოლიური ენერგოკომპანიების დაკვეთების უკანონო შემსრულებლად, რის სანაცვლოდაც საკმაოდ სოლიდურ გასამრჯელოს იღებთ. თქვენს მიერ დენზე და წყალზე დადგენილი სამომხმარებლო ტარიფები უსაფუძვლოდ მაღალია, ის არ ემყარება ობიექტურ ეკონომიკურ, ფინანსურ კომპონენტებს და გაანგარიშებებს, უფრო მეტიც მიმართულია მოსახლეობის ძარცვისკენ.**

**მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებები ტარიფების დადგენისას არამხოლოდ უსაფუძვლო და უსამართლოა, არამედ დანაშაულებრივიცაა, რადგანაც ელექტროენერგიაზე ტარიფების დადგენისას სრულად დაირღვა და უგულებელყოფილ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (31/3/136 30.12.2002წ.) გადაწყვეტილება, რაც იწვევს სისხლის სამართლის კოდექსის 3381 მუხლის თანახმად მძიმე სამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუ კომისიის მიერ დროულად არ იქნა გამოსწორებული აღნიშნული კანონდარღვევა, თქვენ რეჟიმის შეცვლის შემდგომ აუცილებლად დაგეკისრებათ კანონით გათვალისწინებული საკმაოდ მკაცრი პასუხისმგებლობა.**

**ამდენად, მოგიწოდებთ, ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგიის შესახებ კომისიის 38 დადგენილების 26-ე მუხლის შესაბამისად დაუყოვნებლივ გააუქმოთ ელექტროენერგიის მოქმედი ტარიფები და დაწიოთ ის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს (31/3/136 30.12.2002წ.) გადაწყვეტილებით დადგენილ დაბალ ზღვრულ ნორმამდე — აღნიშნულია „ლეიბორისტული პარტიის" წერილში.**

ინტერპრესი

ჩვენი პრესდაიჯესტი

## ივანიშვილის ნათესავებს სამსახურებიდან უშვებენ

სამტრედიის მე-3 საჯარო სკოლის 4 მასწავლებელს სამსახურიდან ხსნიან. მათ ორ მარტს დაურიგდათ ოფიციალური გაფრთხილებები, რომ 7 მარტს შეუწყდებათ შრომითი ხელშეკრულება. ამ მასწავლებლებიდან 2 „ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ნათესავია. ერთ-ერთი მასწავლებელი ნანა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ მისი განთავისუფლების ინიციატორი სამტრედიის გამგებელი კობა კანდელაკია.

**„რეზონანსი".**

## ბიძინა ივანიშვილი ლუსტრაციის კანონის მიღებას არ აპირებს

წესით ყველას უნდა გვახსოვდეს, რა ხმაურიანი მოსდევდა საუბარს ლუსტრაციის კანონზე. ეს კანონი ვერ მიიღეს ვერც გამსახურდიამ, ვერც შევარდნაძემ და ვერც სააკაშვილმა. არადა სამივე მათგანი თითქოს ლუსტრაციის მომხრე იყო. ხელისუფლების სათავეში ახლა ბიძინა ივანიშვილი აპირებს მოსვლას, რომლის გაპრემიერება, როგორც თვითონ ამბობს, უკვე გადაწყვეტილია. თუ ეს წინასწარმეტყველება ახდა, ლუსტრაციის კანონს, სავარაუდოდ, არც ის მიიღებს. ყოველ შემთხვევაში მის მიერ გაკეთებული განცხადებები ამაზე მიუთითებს.

**„ახალი თაობა".**

## „ათიანში გავარტყი"

— ამბობს ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის" მდივანი გიორგი ცაგარეიშვილი, — ვიცოდი, რომ მთავრობის მაღალჩინოსნების სასახლეების ფოტოების დანახვაზე სააკაშვილი ტკუიდან გადადგებოდა და გადადგა კიდეც... მიშა სხდომიდან კინაღამ ფსიქიატრიულში წაიყვანეს... შედით და ნახეთ, ვანო როგორი გალატაკებულიცაა... ქალბატონმა გოგორიშვილმა იმდენი ურტყა მაგიდას ხელი, ან ნალრძობი ექნება, ან მოტეხილი.

**„კვირის პალიტრა".**

## „მალე სააკაშვილი საქართველოდანაც გაიქცევა"

— ამბობს „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია, — როცა გაიქცა, მას გამოეკიდნენ დაცვის წევრები და რამდენიმე კაცი მთავრობის ლოჟიდან. მთავარი ავტორიტეტი მაინც ჯონ ბასი აღმოჩნდა და მისი ხათრით დაბრუნდა სააკაშვილი დარბაზში.

**„ასავალ-დასავალი".**

## მოუმატებს თუ არა „თელასი" დენის გადასახადს 1 კვ-ზე 4 თეთრს?

თბილისში ახალი ინფორმაცია გავრცელდა: „თელასი" დენის გადასახადს ზრდის, ამიერიდან დახარჯულ ელექტროენერგიას საცხოვრებელი ფართის, ანუ კვადრატული მეტრის მიხედვით გადავიხდით. 1 კვ. მეტრს 4 თეთრი დაემატება.

**„ვერსია".**

## „ეს ნამდვილად ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც სააკაშვილი იყო აბსოლუტურად მართალი"

— ამბობს ნინო ბურჯანაძე, — თუ ასე გაგრძელდა პროცესი, თქვენ გელოდებათ სააკაშვილის დამაჯერებელი გამარჯვება. „ნაციონალური მოძრაობა" დარჩება ხელისუფლებაში. მინდა ექსკლუზიურად თქვენი გაზეთისთვის განცხადება გავაკეთო: ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიძინა ივანიშვილის კოალიციამ აქცენტი გააკეთოს არა სხვა პარტიის აქტივისტებზე, არამედ ის ადამიანები მიიზიდოს „ქართულ ოცნებაში", რომლებიც დღეს არიან ნეიტრალურები ან შეშინებულები.

**„ქრონიკა".**

**ალდგომა და... ხვალეო**

# მოსკოვ-თბილისის დაუსწრებელი დიალოგი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კრემლისთვის სააკაშვილი მიუღებელი ლიდერი აღარ არის?



რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივასა და იმაზე, თუ როგორ აისახება რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები კრემლის სამხრეთ კავკასიისადმი წარმოებულ პოლიტიკაზე, **„ინტერპრესნიუსი“** მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, პროფესორ **ალექსანდრ კრილოვს** ესაუბრა.

**— ბატონო ალექსანდრე, თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს თბილისსა და მოსკოვს შორის დაწყებული დიპლომატიური „ფლირტი“? მხედველობაში მაქვს პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივა რუსეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შესახებ, შემდეგ ამ ინიციატივაზე რუსეთის საგარეო უწყების პასუხი — თბილისთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის წინადადება და ამის შემდეგ ოფიციალური თბილისის განცხადება, რომ თბილისი ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისთვის მზადაა, თუ მოსკოვი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას უკან გაიწვევს...**

— არა მგონია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებში სწრაფი ცვლილებები მოსალოდნელი იყოს. ამას ხელს უშლის რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, რომელზეც მოსკოვი უახლოეს მომავალში უარს ვერ იტყვის. გარდა ამისა, საქართველოს მიღებული აქვს კანონები, რომლითაც რუსეთის მოქალაქეები, ვინც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არიან ნამყოფი, სამართლებრივად შეიძლება დაისაჯონ. ასეთ ვითარებაში მხოლოდ სავიზო რეჟიმის გაუქმება პრაქტიკულად არაფერს არ ცვლის.

**— რუსეთი საქართველოს ხელისუფლებას საზოგადოებაში რუსეთის სახით მტრის ხატის შექმნაში ადანაშაულებს, არადა, თავად კრემლის პროპაგანდისტული მანქანის შედეგად რუსეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი რუსეთის მტრად, აშშ-ის შემდეგ, სწორედ საქართველოს მიიჩნევს. არც ის არის საიდუმლო, რომ პუტინის და პრეზიდენტობის თითქმის ყველა კანდიდატის ანტიამერიკული და ანტიდასავლური განცხადებები, თუ პირდაპირ არა, ირიბად მაინც, საქართველოს ეხება...**

— არ დაგეთანხმებით, რომ პრეზიდენტობის ყველა კანდიდატის რიტორიკა ანტიქართულია. პროხოროვმა განაცხადა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემებს საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გზით მოაგვარებს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის პროპაგანდისტული ომია. ეს კი, პირველ რიგში იმ პოზიციებზე აისახება, რომლებშიც მხარეთა პოზიციები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ცხადია, რომ უახლოეს ხანებში ამ პოზიციებში ცვლილებები არ მოხდება.

ჩემი აზრით, ახლა ძალიან მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოსკოვი წინა წლებისაგან განსხვავებით, აღარ აცხადებს, რომ სააკაშვილი სამხედრო დამნაშავეა. ამგვარი რიტორიკა რუსეთის ხელისუფლების გამოსვლებში პრაქტიკულად გაქრა. მოსკოვ-თბილისის დაუსწრებელი დიალოგი იმას ნიშნავს, რომ კრემლისთვის სააკაშვილი მიუღებელი ლიდერი აღარ არის. ეს კი, არა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების აღდგენის შესაძლებლობაზე, არამედ იმაზეც მიუთითებს, რომ კრემლი რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების აღდგენას იმ შემთხვევაშიც არ გამორიცხავს, თუ სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში 2013 წლის შემდეგაც დარჩება.

**— თქვენი აზრით, როგორ განვითარდება პროცესები პუტინის გამარჯვების შემდეგ? მოგეხსენებათ, არჩევნების შემდეგ აქციების ჩატარებისთვის ემზადებიან როგორც პუტინის მომხრეები, ისე — მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ძალები.**

— არჩევნების შემდეგ ქვეყანაში მასობრივ არეულობებსა და ვითარების დესტაბილიზაციას არ ველოდები. ახლა ქვეყანაში ამისათვის არ არის ისეთი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში რუსეთში საკმაოდ სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა პროცესებმა დაგვანახვა, რომ საპროტესტო განწყობები სულ უფრო მატულობს.

**— მართალია, ხელისუფლებამ ოპოზიციას ქუჩაში მხარდამჭერთა მობილიზების მხრივ ბრძოლა მოუგო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსულ საზოგადოებაში პუტინისადმი პროტესტის გამოხატვა ერთგვარ მოდად და კარგ ტონად იქცა. რამდენად სახიფათოა ხელისუფლებისთვის საზოგადოებაში არსებული საპროტესტო განწყობები?**

— საზოგადოებაში ყოველთვის მოიძებნებიან ცხოვრების დონითა და პირობებით უკმაყოფილო ადამიანები. თუ საპროტესტო მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო არა მარტო დიდ, არამედ პატარა ქალაქებში, ამან შესაძლოა, ქვეყანაში უმართავი პროცესები და ხელისუფლების ცვლაც კი გამოიწვიოს.

ახლა ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად რადიკალური იქნება პუტინი მთავრობის დაკომპლექტებისას; მოიყვანს თუ არა იგი მთავრობაში ისეთ ხალხს, რომელთა საქმიანობა, წინანდელი მთავრობის წევრთაგან განსხვავებით, ეფექტური იქნება.

**— აღარავის ეპარება ეჭვი, რომ პუტინის საგარეო პოლიტიკა გამოკვეთილად ანტიდასავლური და ანტიამერიკული იქნება, მაგრამ თქვენი აზრით, როგორი იქნება პუტინის საშინაო პოლიტიკა და განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიისადმი დამოკიდებულება?**

— სამხრეთ კავკასიისადმი პოლიტიკაში რადიკალურ ცვლილებები მოსალოდნელი არ არის და აღებული კურსი გაგრძელდება. გასაგებია, რომ მოსკოვის პოლიტიკა სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანისადმი განსხვავებული იქნება. ირანში ვითარების გართულების ფონზე, მოსკოვსა და ბაქოს შორის ურთიერთობების დაძაბვა შეინიშნება. ირანში დაძაბულობის ზრდა სამხრეთ კავკასიისათვის კარგს არაფერს მოასწავებს.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი იქნება პუტინის საშინაო პოლიტიკა, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული. იმის გამო, რომ მსოფლიოში ნავთობსა და გაზზე ფასები საკმაოდ მაღალია, რუსეთი საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. მაგრამ, ყველას ესმის, რომ ასე დიდხანს და მით უმეტეს ყოველთვის, ასე არ იქნება. რუსეთმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა აიღოს კურსი მოდერნიზაციასა და პოლიტიკური სისტემის სრულყოფაზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს პუტინი საშინაო პოლიტიკაში წარმატებული. თუ კრემლში დაბრუნებულმა პუტინმა ამგვარი პოლიტიკა არ გაატარა, მაშინ რუსეთი დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

**კობა ბენდელიანი**

**ვისია, ვისია ჩვენი ოქრო და სპილენძი?**

# „მადნეულის“ ბუნდოვანი მომავალი



**„მადნეული“ თამაშგარე მდგომარეობაში რჩება, ხოლო ფერადი ლითონების მოპოვებას „მაინინგ ინვესტმენთი“ გააგრძელებს, რადგანაც 2014 წლიდან, მაშ შემდეგ, რაც კომპანია „მადნეულს“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მოქმედების ვადა ამოეწურება, „მადნეულის“ საქმიანობას ოფიციალურად „მაინინგ ინვესტმენთი“ განახორციელებს,**

აუქციონზე, რომელიც 29 თებერვალს შედგა, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით, სსიპ „ბუნებრივი რესურსების სააგენტომ“ ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი ლითონები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზია აუქციონის წესით გაასხვისა.

ლიცენზიის საწყისი ღირებულება 110 მლნ ლარს შეადგენდა, ხოლო „ბიჯი“ — 500 ათას ლარს. აუქციონში უცხოური კაპიტალით დაფუძნებული კომპანია „მაინინგ ინვესთმენთსი“ მონაწილეობდა, რომელმაც აუქციონზე გამოტანილი 27-წლიანი ლიცენზია 110,5 მლნ ლარად შეიძინა.

ლიცენზია 2014 წლის 15 აპრილიდან ამოქმედდება. დღეისთვის აღნიშნულ საბადოებზე სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის უფლებას კომპანია „მადნეული“ ფლობს. აუქციონის პირობების თანახმად, ინვესტორი ვალდებულია, ბოლნისში, მადნეულის საბადოზე არსებული მარაგები ლიცენზიის ამოქმედებიდან 24 თვის ვადაში დაითვალოს, ხოლო საყდრისის საბადოზე — 48 თვის განმავლობაში.

თუ რატომ არ შეეცადა „მადნეული“ ლიცენზიის ხელმეორედ მოპოვებას და როგორ აპირებს 2014 წლიდან საქმიანობის გაგრძელებას, კომპანიაში ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებას არ აკეთებენ. კომპანიის გენერალური დირექტორი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი კომენტარის გაკეთებაზე უარს აცხადებს.

უმთავრესი კითხვა არა მხოლოდ მადნეულის მიერ აუქციონზე უარის თქმის მიზეზებში მდგომარეობს, არამედ მის შედეგებშიც. კერძოდ, კომპანიას სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტის წინაშე აღებული ვალდებულებები გრძელვადიან პერიოდზე აქვს გაწერილი. შესაბამისად, თუ „მადნეული“ 2014 წლიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას შეწყვეტს, საინტერესოა, რა შემოსავლებით აპირებს საკუთარი ვალდებულებების გასტუმრებასა და დაფარვას.

სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას აარიდა თავი კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გიორგი დევაძემ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა კი თავისი უფროსის ფრაზა გაიმეორა — რომ ისინი კომენტარს არ აკეთებენ.

საქართველოს პარლამენტის წევრი კობა ნაყოფია, რომელიც პოლიტიკაში „მადნეულიდან“ მოვიდა, აღნიშნულ საკითხზე კომენტარისგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ „არ სურს“ ამ საკითხზე საუბარი.

ექსპერტების ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ნაყოფიას, მიუხედავად პოლიტიკური სტატუსისა, არც არასოდეს მიუტოვებია მადნეულის საქმიანობაზე ზედამხედველობა.

ამავე დროს, გამოითქმის გონივრული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ „მადნეული“ სამომავლოდ თავისი საქმიანობის და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების „ჩამოწერას“ ცდილობს, ხოლო ლიცენზიის ახალი მფლობელი იგივე ჯგუფია, „სხვა სახელითა და გვარით“.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ (http://transparency.ge) წერს, რომ შპს „მაინინგ ინვესთმენთს“ ის ერთადერთი კომპანიაა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო 29 თებერვალს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამართულ აუქციონში. აუქციონზე შიდა ქართლის რეგიონში ოქროს, სპილენძისა და სხვა ძვირფასი მინერალების შესწავლა-მოპოვებაზე 27-წლიანი ლიცენზია იყო გამოტანილი. აღნიშნულმა კომპანიამ ლიცენზია 110.5 მილიონ ლარად მოიპოვა.

მათი ინფორმაციით, შპს „მაინინგ ინვესთმენთსი“ თბილისში 2012 წლის 13 თებერვალს, აუქციონის ჩატარებამდე ორი კვირით ადრე დარეგისტრირდა (აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება პირველად 2012 წლის 19 იანვარს გამოქვეყნდა). ლიტვის მოქალაქე ალვიდას ბრუსოკასი არის შპს „მაინინგ ინვესთმენთის“ დირექტორი და ერთადერთი მფლობელი. კომპანიის იურიდიული მისამართია — გუდიაშვილის მოედანი № 4, იურიდიული კომპანია BLC-ის შენობაში.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ბევრი დრო არ ჰქონდა ამ პროცესის მონიტორინგისთვის: აუქციონი დასრულდა ერთ წუთში, მას შემდეგ, რაც სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ შპს „მაინინგ ინვესთმენთსმა“ მოიპოვა ლიცენზია“**, — აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

მათი განმარტებით, ბოლნისში არსებული წიაღისეულის საბადო ძალიან ძვირფასი და მიმზიდველი რესურსია და ის ფაქტი, რომ აუქციონში მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობდა, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პროცესი არ იყო მიმართული შესაბამისი გამოცდილების ბევრი საერთაშორისო ინვესტორის მოსაზიდად.

**„თავად ბრუსოკასი აღნიშნულ აუქციონს არ ესწრებოდა. დამსწრეთაგან ჩვენ ვიცანით ერთი პირი, რომელიც, გვჯერა, რომ ბრუსოკასის კომპანიას წარმოადგენდა. წინა აუქციონზე ეს პირი შპს „კავკასიის სამთო ჯგუფს“ წარმოადგენდა, რომელმაც ოქროსა და სპილენძის მოპოვების მეორე დიდი ლიცენზია მიიღო 2011 წლის ოქტომბერში და რომლის მესაკუთრეთა შესახებ ინფორმაციაც საკმაოდ ბუნდოვანია“,** — განმარტავენ ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“.

**ბოლომდე განუყრელნი**

# ასე უყვარდათ ერთმანეთი

**ძნელია წარსული დროით ვილაპარაკოთ ადამიანებზე, რომლებთანაც მთელი ცხოვრება მათი მშობლიური მზრუნველობით განებივრებულებს გვიცხოვრია. გვეამაყებოდა მათთან საუბარი, რჩევა-დარიგება პრობლემატურ საკითხებზე. ყოველივე ამას განამტკიცებდა მათი პროფესიონალიზმი, ცხოვრებისეული გამოცდილება და უფლით ბოძებული გამჭრიახობა. მათ უშურველად იღვაწეს ახლობლების, მეგობრების, ნათესავებისთვის, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-დაფრთიანებისთვის და კარგი შედეგიც მიიღეს. ასეთები იყვნენ ბუნებით გამორჩეული სიმონ ტაბატაძე და სონია (სოფიო) კახნიაშვილი.**

ისინი სპონტანურად შეუღლდნენ — გაცნობის დღიდანვე იმძლავრა სიყვარულმა და მშობლების ჩარევით იქორწინეს.

ქალბატონი სონია საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში აგრძელებს სწავლას მათემატიკის ფაკულტეტზე, პარალელურად ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზეც სწავლობს.

მეორე კურსის დამთავრების შემდეგ ქალბატონი სონია პრაქტიკაზე კეხვის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში ეზიარა ბავშვებთან მუშაობას და იმთავითვე იგრძნო, რომ ეს საქმე მისთვის არა მარტო არჩევანი, არამედ მოწოდებაც იყო. იგრძნო და მთელი ცხოვრებაც, 57 წელი უწყვეტად, მიუძღვნა დაწყებითი კლასების პედაგოგობას. და თუმცა ბევრი პრესტიჟული სამსახური შესთავაზეს, სხვაგან გადასვლა არც უფიქრია. იყო რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენოსანი. პენსიაზე ყოფნის პერიოდში თავი მოუყარა სხვადასხვა დროს დაწერილ საბავშვო ლექსებს, ჩანახატებს, ნოველებს და გამოსაცემად ამზადებდა.

რაც შეეხება ბატონ სიმონს — მის მეუღლეს, ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ იგი ალადგინეს ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ სპეციალობით მუშაობდა, მერე კი მეღვინეობაში გადაინაცვლა და ბოლომდე საუკეთესოდ უძღვებოდა საქმეს. იყო კარგი თამადა, მომღხენი, ფლობდა სხვადასხვა ინსტრუმენტს, განსაკუთრებით ლალობდა და დუდუკების თანხლებით, როგორც ძველი ბაიათების მოყვარული, თვითონაც კარგად მღეროდა.



ბატონი სიმონისა და ქალბატონ სონიას სტუმართმოყვარე, იუმორით სავსე, ქველმოქმედებით გამორჩეული ოჯახი კიდევ უფრო მიმზიდველი გახადეს მათმა ქალ-ვაჟმა თამთამ და ბაკურმა, რომლებმაც სწავლა-განათლების მიღების შემდეგ არანაკლები, ტრადიციებზე დაფუძნებული ოჯახები შექმნეს და განსაკუთრებით ზაფხულში, დედ-მამის ეზო-გარემოს მათი შვილები ავსებდნენ ჟრიამულით...

მაგრამ, ვაგლახ რომ, საწუთრო დიდხანს არ ახარებს ადამიანს: ეს ულამაზესი კუთხე ქართლისა მოუხდურმა ააოხრა. ადგილობრივი მოსახლეობა ბოლომდე ერთად უმკლავდებოდა ყოფით პრობლემებს, საგუშაგოებზე წლობით ფხიზლად იცავდა იქაურობას მტრისგან სიცოცხლის ფასად, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში იძულებით აყრილი მოსახლეობა (ნულში, ავნევში, ქურთაში, კეხვში, აჩაბეთსა და მათთან ახლომდებარე ადგილებში მცხოვრებნიძ, ბედის ანაბრად ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულები, დიდხანს ეძებდნენ ერთმანეთს, მათ შორის ქალბატონი სონია და ბატონი სიმონიც, რომელთა შვილები სხვადასხვა ადგილებში მოხვდნენ განაწილებით თავშესაფრებში, თავად კი საგურამოში, ტელევიზიის ყოფილ კორპუსში განთავსდნენ.

სულით არ დაცემულან, მაგრამ ასაკის გამო, როდესაც სურვილი და შესაძლებლობა დაცილებულია ერთმანეთს, უჭირდათ სიმარტოვე. სხვების შეწუხებასაც ერიდებოდნენ. ბოლო ხანს პროფილაქტიკისთვის საავადმყოფოში მოთავსებული ქალბატონი სონიას სანახავად მისულებს ჩვეული ხუმრობითა და იმედიანად გვიპასუხებდა, რომ დასძლევდა ავადმყოფობას, დაუბრუნდებოდნენ მშობლიურ მიწას და ნასახლარს და კვლავ აალორძინებდნენ. გვიყვებოდა განცდილს და გაგონილს, ლამაზ ფერებში ხატავდა მომავალს, ძალიან პატარად ეჩვენებოდა განვლილი ცხოვრება და მისი ბოლო ფრაზა იყო ასეთი: თუ კარგად ვიქნები, ხომ კარგი, თუ არა და, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები და მოგენატრებით, ფურცლეთ ცხოვრების წიგნი და აუცილებლად ამომიკითხავთო, — გვეუბნებოდა.

ბატონი სიმონი მოუთმენლად ელოდა მეუღლის სახლში დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ: ქალბატონმა სონიამ რეანიმაციის კედლებში დატოვა სამყარო — გულმა უმტყუნა, ვეღარ დაიტია ტკივილი...

ეს მეტად მწარე იყო ყველა ახლობლისთვის, განსაკუთრებით კი ბატონი სიმონისთვის, რადგან მისთვის მეუღლე იყო უპირველესი იმედიც და ნუგეშიც.

მეუღლის დაკარგვიდან ორმოცი დღე გულჩათხრობილი გახდა. ხშირად უნთებდა სურათებს სანთლებს და ესაუბრებოდა, ჰპირდებოდა, „სულეთში“ მიმავალს ორმოც დღემდე დაგეწევი და მარტოს არ დაგტოვებო. და რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, მეუღლის გარდაცვალებიდან მე-40 დღემდე სამი დღით ადრე, იმავე დროს, გამთენიისას, ბოლო სიტყვებით — „მოვდივარ, იმედას“ თქმით განერიდა საწუთროს. მისი დაკრძალვისა და მეუღლის ორმოცი დღის აღნიშვნა ერთმანეთს დაემთხვა.

აი, ასე უყვარდათ მათ ერთმანეთი! დაჰპირდა და შეასრულა, ეს არის კიდევ ერთი შტრიხი მათი გამორჩეული ურთიერთობისა.

ბატონი სიმონის დაკრძალვის დღე იყო ორმაგად სევდიანი, ტკივილიანი, ნაღვლიან-ტირილიანი შოუ! შოუ იმიტომ, რომ ანდერძი ჰქონდა დატოვებული — დაკრძალვისას დოლისა და დუდუკების თანხლებით, სამგლოვიარო ბაიათებით გაეცილებინათ უკანასკნელ გზაზე. ეს სურვილი შეუსრულეს ახლობლებმა და მეგობრებმა.

მადლიერმა ადამიანებმა უამინდობის მიუხედავად, სოფელ წეროვნიდან ბოლო გზაზე გააცილეს, უშურველი ცრემლი და დატირება გააყოლეს. იგი ჭიდაობის დიდი ქომაგი და ოსტატი იყო და ამიტომ ქართული საჭიდაოს მუსიკით ჩაუშვეს მისთვის განკუთვნილ სოფელ ქანდას ცივ სამარეში, მეუღლის გვერდით. მართლაც, სადაურსა სად წაიყვან...

ისლა დაგვრჩენია, უფალს შევთხოვოთ: ნათელი შარავანდედი მოსავდეს მათ სულებს... ამინ!

**შორენა ჟუჟუნაშვილი**

**ტურიზმი**

# რათა „სტუმართა გეოგრაფია“ გაფართოვდეს

**სამამულო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი სფერო ტურიზმი რომაა, ეს, რომ იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. საქართველოში ბოლო წლების ტურისტული ბუმი დიდწილად უცხოელ პარტნიორთა ხელშეწყობის შედეგია და მართალია ახალი საზაფხულო სეზონის დადგომამდე ჯერ კიდევ შორია, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას მისთვის მზადების პროცესი კარგა ხანია დაწყებული აქვს.**

ტურიზმის განვითარების, მისი საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებისა და დარგში ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების „ტურიზმის სექტორის მხარდაჭერის პროექტს“ იწყებენ. აღნიშნულ პროექტს საქართველოში ევროპასთან ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების ავსტრიული სააგენტოს დახმარებით განახორციელებენ. პროექტის განხილვაში საქართველოს ტურისტული სფეროს კერძო სექტორის წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რომლებიც მის ფრთაშესხმის მუშაობაშიც ჩაერთვებიან.

ავსტრიელ სპეციალისტთა აზრით, „ტურიზმის სექტორის მხარდაჭერის პროექტს„ საქართველოში ამ დარგის განვითარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ქვეყანას უცხოელ ტურისტთა მოსაზიდად სოლიდური პოტენციალი აქვს. ამას ბოლო წლებში ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება თვალნათლივ მოწმობს. პროექტი, რომლის განსახორციელებლად ევროპასთან ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების სააგენტოს 900 ათასი ევრო აქვს გამოყოფილი, შემდეგი მიმართულებებით განხორციელდება: **ტურისტული ადგილის მართვის ორგანიზაციის მოქმედი მოდელის შექმნა, რაც, თავის მხრივ, საერთაშორისო გამოცდილების**



**გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს დარგში კერძო სექტორის წილის ზრდას; ტურიზმის სფეროს სრულყოფის მიზნით საკანონმდებლო ბაზის დახვეწის პროექტის მომზადებას გულისხმობს; ტურიზმის სფეროში დასაქმებულ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, რაც როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორებში შესაბამისი ტრენინგების გამართვას ითვალისწინებს.**

თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნის ტურისტული დარგის წინსვლისა და დახვეწისთვის პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა, ამას თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ დღესდღეობით საქართველოში ამ მიმართულებით დაახლოებით ასი პროექტი ხორციელდება. უცხოელი პარტნიორები დიდ დახმარებას გვიწევენ, კერძოდ ეკონომიკის, ვაჭრობისა და საჯარო ფინანსების მართვის სფეროებში, გარემოს დაცვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სექტორებში. ამ მხრივ „ტურიზმის სექტორის მხარდაჭერის პროექტი“ — ევროკავშირის პირველი ინვესტიციაა, რომელსაც იგი საქართველოში ტურიზმის განვითარებაში განახორციელებს, და მას გრანტების კონტრაქტების სახით გასცემს.

ტურიზმი საქართველოში აღმავლობის სტადიაში რომ არის, ამას ციფრებიც მოწმობენ. კერძოდ, ახალი წლის დამდეგიდან მოყოლებული შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 40 პროცენტზე მეტი ტურისტი შემოვიდა. ამასთან, ერთობ დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ მიუხედავად საქართველოში დასვენების მსურველთა რიცხოვნობის ზრდისა, ტურისტების მთავარი ნაკადები ჩვენში, ძირითადად ისევ **თურქეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ირანიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, ყაზახეთიდან და საბერძნეთიდან ჩამოდიან.**

ამდენად, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სხვა სიკეთესთან ერთად, ევროკავშირის ახალი „ტურიზმის სექტორის მხარდაჭერის პროექტი“ „სტუმართა გეოგრაფიის“ გამრავალფეროვნებასაც შეუწყობს ხელს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინფორმაცია**

## ხატებისა და ჯვრების ქურდობისთვის 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

**თბილისის** საქალაქო სასამართლომ ეკლესიების ქურდობაში ბრალდებული ზურაბ ზურაბიშვილი დამნაშავედ ცნო. მას განაჩენთა და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, საიდანაც მსჯავრდებული 12 წელს მოიხდის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო 4 წელი ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

ზურაბ ზურაბიშვილმა 2010-2011 წლებში საქართველოს ქალაქებში მდებარე ეკლესიებიდან ხატები და ჯვრები მოიპარა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იგი სარგებლობდა ვითარებით, როდესაც ტაძარში არავინ იმყოფებოდა, რა დროსაც ფარულად ეუფლებოდა სხვადასხვა სიწმინდეს. ამ გზით, მან მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა: წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიიდან — მაცხოვრის ხატი, ილია მართლის სახელობის ეკლესიის საკურთხევლიდან — ალექსანდრე ნეველისა და მარიამ ეგვიპტელის ხატი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან— ჯვარი მაცხოვრის გამოსახულებით და ა.შ.

სასამართლოში საქმის განხილვისას ბრალდებულმა სრულად აღიარა ჩადენილი დანაშაული, გარდა აღიარებითი ჩვენებისა მის მიმართ წარდგენილი ბრალი დადასტურებული იქნა: მოწმეთა ჩვენებებით, საგამოძიებო ექსპერიმენტებით, ამოღებისა და დათვალიერების ოქმებით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით.

## ერდოღანის რეზიდენციასთან აფეთქება მოხდა

**თურქეთის** დედაქალაქ ანკარაში, პრემიერ-მინისტრის კანცელარიასთან, აფეთქება მოხდა. ადგილობრივი ტელევიზიის ინფორმაციით, აფეთქება მინისტრთა კაბინეტის სხდომის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მოხდა.

აფეთქების შედეგად ერთმა ადამიანმა მსუბუქი დაზიანება მიიღო. პასუხისმგებლობა აფეთქებაზე არავის აუღია. აფეთქების ადგილზე თურქეთის სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები მუშაობენ.

ინტერპრესი

# მკერდში გული კი არ მტკივა, გულში საქართველო მტკივა!

## შოთა ზოიძე – 70



**დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სახელმწიფო, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, მემედ აბაშიძისა და გიორგი ლეონიძის პრემიების ლაურეატს შოთა ზოიძეს.**

**ქვემოთ გამოქვეყნებული მასალები იმ დიდ სიყვარულსა და პატივისცემაზე მეტყველებს, რასაც ყოველთვის გრძნობდა ამჟამინდელი იუბილარი ქართველი საზოგადოებისაგან როგორც ღირსეული შემოქმედი.**

### ძვირფასო ბატონო შოთა!

შობა-ახალ წელთან ერთად მოგილოცავთ დაბადების 70-ე წლისთავს, რომელიც 2 იანვარს შეგისრულდათ.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც დგახართ ქართული სიტყვისა და კულტურის სამსახურში. თქვენი ნატიფი პოეტური მეტაფორები თამამად ჟღერს ჩვენს პოეტურ ორკესტრში. რაც შეეხება ესეებსა და გამოკვლევებს, გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით, აკადემიურობით, მწვავე პრობლემატიკით. ბრწყინვალე ესეისტური მონოგრაფიები უძღვენით ილია მართალსა და ანა დედოფალს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს თქვენი საზოგადოებრივი ღვაწლი იმ ღვთივკურთხეულ მხარეში, საიდანაც საქართველოს მოეფინა ქრისტიანული ნათელი. აჭარაში ეროვნული ცნობიერებისა და ქართული სულიერების გუშაგად გვეგულები.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!
**სრულიად საქართველოს**
**კათოლიკოს-პატრიარქი**
**ილია II**

### ჩემო შოთა!

ქართულ შემოქმედებით მამითადში შენეული ხნულიც ჩანს, სადაც შენს პოეტურ ყანაში პური მწიფს...

მკითხველს მოსწონს და აღაფრთოვანებს შენი მედგარი, შემტევი პუბლიცისტიკა...

გეხვევი, გილოცავ და გისურვებ ხანგრძლივ შემოქმედებით სიცოცხლეს.

**აზიზ ახვლედიანი.**

### „...გულზე მაჩნია განაჩენი დროის და სივრცის“

იმ უამრავ ადამიანს შორის ვარ, ვისაც თითქმის ყველაფერი აქვს წაკითხული შოთა ზოიძის. ვამაყობ ამით. ვამაყობ, რომ გადაწყვეტილებას მისთვის ნიკო ნიკოლაძის პირველი პრემიის მინიჭების თაობაზე, მთელი იმერეთის სახელით მოვაწერე ხელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან ერთად 1996 წელს. მახსოვს, როგორი სიამაყით მითხრა ირაკლი აბაშიძემ ბატონ შოთაზე — კარგი პოეტი და მოღვაწე კაციაო — ეს 1991 წელი იყო. მანამდე, 1988 წელს, რეზო თაბუკაშვილმა — სულით და ხორცით პოეტიაო. ამ ორი დიდი ქართველის შეფასებაც საკმარისია ნებისმიერი კაცისთვის. როგორც იტყვიან, ამად ღირდა ცხოვრება.

რომ არაფერი წამეკითხა წარსულში, საკმარისია მისი ორი სონეტი - პირველი და მეორე, რომ პირდაპირ ვთქვა, ეს ის კაცია, ვისზეც ილია ჭავჭავაძე იტყოდა: „პოეზია მადლია, ნიჭია... მაგრამ... იგი დიდი ტვირთიც არის“.

მთელი ეპოქის სუნთქვაა ჩადებული მეორე სონეტის ოთხ სტრიქონში: „გულზე მაჩნია განაჩენი დროის და სივრცის — წლები, რომლებიც, ამ უჟამო ჟამში გავლიე, ავსილი ჯამით საწამლავი ბევრი დავლიე, უჟმური ჟამი რას მიქადის არავინ იცის?!“

მთელი ეპოქის სუნთქვაა ჩადებული მეორე სონეტის ამ ოთხ სტრიქონში. რას უქადის უჟამური ჟამი არ იცის, მაგრამ... „და მაინც ვდგავარ ფეხშიშველი და თმაგაშლილი, ნურცროს მომშლოდეს ჩემს მღელვარე დროსთან კავშირი, დროსთან, რომელიც ყოველივეს გადააფასებს!“

მართლაც, რა მადლია, რა ნიჭია ამ სტრიქონებში და ის, რომ ყველაფერი ეს მძიმე ტვირთია. შოთა ზოიძე საქვეყნო ტვირთით ცხოვრობს; ცხოვრობს მღელვარე დროსთან კავშირში და ამიტომ არის დიდი პოეტი, დიდი მოღვაწე, სახელწიფო კაცი. საქართველოს ჰყავს კაცი, — შოთა ზოიძე, — ქართულად დატვირთული, ქართულად მოაზროვნე და საკაცობრიო იდეალების ერთგული...კაცი, რომლის „შემწე, ყოვლისშემძლე მხოლოდ ღმერთია“. კაცი, რომელიც პატარა სოფოში ხედავს: „ჩემი სიცოცხლის გაგრძელებას, ჩემი ცის გახსნას, ჩემი ცხოვრების გაკვეთილის ფრიადზე ახსნას...“ კაცი, რომელიც დედით ცხოვრობს დღესაც, 70 წლის ასაკში: „აქ არის ყველა, დედაჩემის სულიც აქ არის, მისი ლოცვები, მისი კალთა გვფარავს და ხარობს.“ კაცი, რომელიც უფალს მიმართავს: „ჰა, წიგნი ჩემი დანატოვარი და ჩემი ძვლებით სავსე ტომარა!“

ახლა მისი წინასწარმეყველება: „მოდიდან გავა ყალბი ტაში, ყალბი ტიტული,ჰხელში შეგვრჩება ზოგიერთის მხოლოდ ფიტული და გაეხსნება ასპარეზი მრავალ ათასებს...“

ათასები ასიათასების განწყობით, სულისკვეთებით და ხელში შერჩენილი ხელისუფლების ფიტულით ვიდექით 21 მაისს, ბათუმის ერას მოედანზე. თავისუფლებით იყო გაჟღენთილი ბათუმის გული. სიტყვით გამოსვლისას, სიღრმეში ამაყად მდგომი პოეტი დავინახე.

მაშინაც გითხარით, ბატონო შოთა, და დღესაც ვადასტურებ — ამ ქვეყნის გადარჩენა ნიჭის ძალაუფლებას და არა პოლიტიკოსებს შეუძლიათ.

ვამაყობ თქვენით, თქვენთან მეგობრობით... თქვენ ხართ მაგალითი იმისა, თუ „... რამდენი რამე სჭირდება ნამდვილ პოეტს და რაინდს!“

რწმენით და იმედით!
**თეიმურაზ შაშიაშვილი**
იანვარი, 2012 წელი.

### ყველაზე ლამაზი წლები

ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი პერიოდი იყო ბათუმის თეატრში მუშაობა. მე ბათუმში კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ საქართველო პოეტების ქვეყანაა. აჭარასა და ბათუმში შევიძინე ბევრი მეგობარი, მათ შორის პოეტები, რომელთაგან განსაკუთრებით გამორჩეულია შოთა ზოიძე.

შოთას პოეზიაში ბევრი მზე და სინათლეა. ჩვენ თითქმის თანატოლები ვართ და ჩვენს ცხოვრებაში ახალი პერიოდი იწყება. მჯერა ჩემი შოთა კვლავაც უპასუხებს კითხვებს, რომლებსაც ჩვენი დღევანდელობა წარმოშობს.

ჩემთვის შოთასთან ურთიერთობის ახალი პერიოდია „ქართულ აკადემიაში„ ერთად მოღვაწეობა და თანამოაზრეობა. ეს კი ქართული ცნობიერების დაცვაა.

მჯერა, შოთა კვლავაც იქნება ეროვნული სულიერებისა და ქართული ოცნების სამსახურში ისე, როგორც დღემდე იყო — თავგანწირული, მედგარი და მოუსყიდავი.

სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს.

**გოგი ქავთარაძე,**
საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სახალხო არტისტი.

* * *

ძვირფასო ბატონო შოთა, მე და ნინო გულისყურით გავეცანით თქვენს პოეტურ ნიმუშებს. გვწამს, რომ მათ დიდი მომავალი ექნებათ. გუშინ გადმომცეს მოსკოვში გამოცემული „ბატუმსკი დოჟდ“ . გილოცავთ და გისურვებთ მრავალ გამარჯვებას. გელოდებით თბილისში.

თქვენი
**ლადო გუდიაშვილი**
1979 წ.

* * *

შოთა ზოიძე ის მამულიშვილი ბრძანდება, ვისაც ნამდვილად არ დაეყვედრება თავისი წილი სამშობლო.

**ანა კალანდაძე.**
2002 წ.

* * *

შოთა ზოიძე ჩვენი აჭარისადმი სიყვარულის გზა და ხიდია.

**ოტია იოსელიანი.**
2002 წ.

* * *

ჩვენ წინაშეა მაღალნიჭიერი, უაღრესად პოპულარული ქართველი პოეტი. ამ ტრიბუნიდან მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ შოთა ზოიძე ქართული ლექსის თანამედროვე პირველხარისხოვან ოსტატთა რიგებში ჩანს.

**რევაზ მიშველაძე**
1998 წ.

* * *

შოთა ზოიძის „საქართველოს გოლგოთა“ გახლავთ მაჩვენებელი ჩვენი დღევანდელი ქართველობის იმ ფსიქოლოგიური ერთიანობისა, რომელსაც სწორედ რომ ქმნიდნენ ქვეყნის საუკეთესო შვილები დასაბამიდან დღემდე“.

**ჯანსულ ღვინჯილია**
1995 წ.

* * *

ჩემს წარმოსახვაში შოთა ზოიძე ბათუმის სახეა. მისმა პოეტურმა გამონაშუქმა „ბათუმური ვალსი“ დამაწერინა.

**გიორგი ცაბაძე.**
1984 წ.

* * *

ჩემო ძვირფასო შოთა!

მიიღე ჩემი ძმური, გულითადი მოლოცვა და მასთან ერთად შენი ცხოვრების, შენი მოღვაწეობის ღრმა პატივისცემა. საქართველოს უძვირფასესი მხარე აჭარა ყოველთვის ამაყობდა სამშობლოსთვის თავდადებული შვილებით, იმათგანი ხარ და შენი გამორჩეული შემოქმედების სულისკვეთება აძლიერებს ჩვენს საერთო სწრაფვას ჩვენი სათაყვანებელი ქვეყნის ღირსეული მომავლისაკენ.

გეხვევი ძმურად, შენი
**თამაზ ჭილაძე.**

* * *

ძვირფასო შოთა!

ინტერნეტმა მაუწყა შენი იუბილე. სიყვარულით გილოცავ. გელოდები მოსკოვში. იმედია, მალე წარვსდგებით ლიტერატურული ჟურნალების რედაქციაში შენი ბრწყინვალე ლექსების ჩემეული თარგმანებით.

ვასრულებ შენს თხოვნას და გიგზავნი ი.კ.-ს ლექსებს.

ძმური სალამით
**მიხაილ სინელნიკოვი**
ქ. მოსკოვი, 27.I.2012 წ.

* * *

ძვირფასო შოთა!

შენი საიუბილეო თარიღის შესახებ ინტერნეტით შევიტყვე. გილოცავ. ვიგონებ შენს ცეცხლოვან გამოსვლებს ლიტინსტიტუტში, „СДЛ“-ში, ლომონოსოვში. შენს აზრს ყოველთვის აფასებდა პოეზიის მეტრი ალექსანდრე მეჟიროვი. შენ გვერდით თაყვანისმცემლების რიგი იდგა. სტუდენტი გოგონები, ასპირანტი ქალბატონები, პოეტესები სიყვარულით ქართველ „კნიაზს“ გეძახდნენ. ჭაღარაშერეული, ელეგანტურად მოსილი სიმპათიური პოეტი ყურადღების ცენტრში იყავი.

1979 წელს მოსკოვში შევიძინე შენი „ბატუმსკი დოჟდ“, ვწუხვარ, რომ მაშინ ვერ მოგილოცე. რა დრო გასულა!

სიყვარულით
**ხალიმა.**
ქ. ტაშკენტი
20.I.2012 წ.

* * *

ჩემო შოთა!

გამოჩენილ პოეტს, მამულიშვილს, გილოცავ დაბადების დღეს, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს შენი ქვეყნის, შენი ოჯახის, ქართული პოეზიის საკეთილდღეოდ.

შენი ძმა და მეგობარი
**ნოდარ ჯალაღონია**

**ჩვენი რედაქცია სულითა და გულით უერთდება ამ კეთილ სურვილს და დიდი პატივისცემით ულოცავს ბატონ შოთას ორჯერ 35 წლისთავს...**

ინფორმაცია

## დიმიტრი გაბუნია: მაკა ასათიანს „მერსედესის“ წარმომადგენლობაში წილი ჩამოართვეს



**სასამართლოს** გადაწყვეტილებით, მაკა ასათიანს საქართველოში „მერსედესის“ წარმომადგენლობაში შპს „აკა“-ში წილი ჩამოერთვა , — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მაკა ასათიანის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ განუცხადა.

ადვოკატის განმარტებით, ასათიანი შპს „აკა“-ში 20 პროცენტს ფლობდა. უზენაესმა სასამართლომ წილის ჩამორთმევის და სხვა მეწილისათვის გადაცემის გადაწყვეტილება 3 დღის წინათ მიიღო. როგორც გაბუნია აცხადებს, დავა მეწილეებს შორის იყო.

— ერთ-ერთ პარტნიორს სადავო საკითხი 12 წლის შემდეგ გაახსენდა და სასამართლოში იჩივლა. სასამართლომ გადაწყვეტილება მაკა ასათიანის საზიანოდ მიიღო, — განაცხადა გაბუნიამ.

ამასთან, ადვოკატის ინფორმაციით, ტელეკომპანია „მაესტროში“ მაკა ასათიანის წილიც დააყადაღეს. ადვოკატი ამ საკითხზე სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ხვალისთვის დაგეგმილ პრესკონფერენციაზე დეტალურად ისაუბრებს.

ინტერპრესი

◉ რას წერენ ჩვენზე

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უარყო რუსეთის ფედერაციის წინადადება დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ ორ ქვეყანას შორის და ეს განმარტა „საქართველოს ტერიტორიებიდან – აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის აუცილებლობით“. თბილისში მიაჩნიათ, რომ თუ მოსკოვი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებას უკავშირებს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას, მოლაპარაკება სავიზო საკითხებზე კარგავს ყოველგვარ აზრს.

შაბათს მიხეილ სააკაშვილმა პირადად წარადგინა ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე (რუსეთის ფედერაციის ყოფილი სამხედრო ბაზაძ ზალპური ცეცხლის ახალი რეაქტიული სისტემა, რომელიც საქართველომ დაამუშავა, სადემონსტრაციო სროლების შემდეგ კი უპასუხა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადებაზე დაიწყონ მოლაპარაკება თბილისთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ. წინა დღით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ალექსანდრ ლუკაშევიჩმა განაცხადა საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაუქმების და თბილისთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობის შესახებ. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებით, რუსეთთან დიალოგი, მაშასადამე, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაც შესაძლებელია მხოლოდ „საქართველოს დეოკუპაციის, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და საქართველოს თითქმის ნახევარმილიონიანი მოქალაქეების სახლებში დაბრუნების შემდეგ, რომლებსაც დღეს არ შეუძლიათ დაბრუნდნენ იქ რუსეთის მიერ ეთნიკური წმენდის განხორციელების გამო“.

# საქართველოს ლიდერებმა ელჩები გადათვალეს და გადაწყვიტეს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აღადგინონ

ჩვენს მიერ მოწყობილი გამოკითხვის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველი პოლიტიკოსებისა, მათ შორის ოპოზიციონერებისა, ეთანხმება პრეზიდენტს იმაში, რომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა შეუძლებელია მანამ, სანამ მოსკოვი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მიიჩნევს. „ეს არის ერთ-ერთი იმ საკითხებიდან, რომელშიც ჩვენ ვეთანხმებით სააკაშვილს“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელმა დავით ბერძენიშვილმა. მხოლოდ პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გადაკვრით მიანიშნა იაპონიის პრეცედენტზე, რომელმაც „უარი განაცხადა ტერმინ ოკუპაციის გამოყენებაზე და იგი შეცვალა „უკანონოდ დაკავებულ ტერიტორიად“. თანაც საქართველოს პარლამენტის ექსსპიკერმა გვაგრძნობინა, რომ იაპონიას მაინც აქვს დიპლომატიური ურთიერთობანი რუსეთთან, მიუხედავად კურილიის პრობლემებისა.

საქართველოში მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ამ საკითხში შეურყეველ პოზიციას იკავებენ. „რუსეთის საელჩო ვერ დაბრუნდება თბილისში მანამ, სანამ რუსეთის ფედერაციის საელჩოები არის სოხუმსა და ცხინვალში. საქართველოს ტერიტორიაზე არ შეიძლება იყოს რუსეთის ფედერაციის სამი საელჩო, – განაცხადა პარლამენტის დიასპორისა და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა ნუგზარ წიკლაურმა. – მოსკოვს არ სურს უპასუხოს თანაბრად საქართველოს კეთილ ნებას ვიზების გაუქმების შესახებ და აყენებს წინასწარ თავის მიუღებელ პირობებს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ დეოკუპაციის დაწყებამდე“. ბატონი წიკლაური მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციასთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ამჟამინდელ პირობებში იქნებოდა თანაბარი ძალისა – უარი ეთქვა თბილისს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე.



თბილისში, არსებული აზრთა სხვადასხვაობის გათვალისწინებით, მიიჩნევენ, რომ, მართალია, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება გააუქმოს ცალმხრივი წესით ვიზები რუსეთის მოქალაქეებისთვის ძალაში რჩება, ასეთ ვითარებაში რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება ვიზებთან დაკავშირებით ყოველგვარ აზრს კარგავს.

Коммерсант

---

ალექსანდრ ანქვაბი, საქართველოდან გამოყოფილი აფხაზეთის ლიდერი, გადარჩა, როდესაც 23 თებერვალს მისი კორტეჟი გადააწყდა ნაღმს და მათ გაუხსნეს ტვიამფრქვევებისა და ყუმბარმტყორცნების ცეცხლი. მაგრამ ეს თავდასხმა, რომელიც სულ რაღაც 100 კილომეტრშია იმ ადგილიდან, სადაც გაიმართება 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადა, გახდა მორიგი დარტყმა რუსეთის მცდელობაზე – დაარწმუნოს მსოფლიო, რომ იგი უზრუნველყოფს უშიშროებას თამაშებზე.

# უზრუნველყოთ სოჭის უსაფრთხოება, ოლიმპიური სირთულის ამოცანა



ტერორისტული აქტები, მათ შორის თვითმკვლელების მონაწილეობით, რაც კვლავ ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში და დამახასიათებელია რეგიონისთვის, სადაც ღრმად არის ფესვგადგმული კორუფცია, სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოებას ხდის სერიოზულ თავის ტკივილად მოსკოვისთვის. მართალია, ვარაუდობენ, რომ ოლიმპიურმა თამაშებმა უნდა გვაუწყოს რუსეთის დაბრუნება ზესახელმწიფოს სტატუსში, ანალიტიკოსებს ეჭვი ეპარებათ, რომ მოსკოვი სათანადოდ შეძლებს, მოემზადოს ამგვარი ღონისძიებისთვის. ალექსანდრ ანქვაბის მოკვლის მცდელობა, რომელიც საქართველოდან გამოყოფილი პროვინციის – აფხაზეთის ფაქტობრივი პრეზიდენტია, მოხდა 23 თებერვალს დაახლოებით 100 კილომეტრზე თამაშების ადგილიდან, ეს წინა პლანზე სწევს მრავალრიცხოვან რეგიონალურ პრობლემებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

თუმცა, ანალიტიკოსების აზრით, პირდაპირი კავშირი სოჭის ოლიმპიურ თამაშებსა და ანქვაბზე თავდასხმებს შორის არ არის, ეს მიუთითებს უშიშროების უამრავ პრობლემაზე, რასთანაც რუსეთს აქვს საქმე თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებით.

ქალაქი სოჭი აფხაზეთიდან დაახლოებით 30 კილომეტრშია. მიუხედავად იმისა, რომ ულიარებელი სახელმწიფოს მონაწილეობის შესახებ ამ ღონისძიებაში ოფიციალურად არაფერია გამოცხადებული, მან შეასრულა თავისი როლი ამ თამაშებისთვის მზადების საქმეში, აწვდის მას სამშენებლო მასალებსა და მუშახელს სოჭში სამშენებლო და სარემონტო პროექტების მასშტაბური მშენებლობებისთვის.

სპეციალისტი კავკასიის კონფლიქტებთან დაკავშირებით და კარნეგის ფონდის პროგრამა „რუსეთი და ევრაზიის“ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თომას დე ვაალი მიიჩნევს, რომ კავშირი ანქვაბზე თავდასხმასა და სოჭის თამაშებს შორის არ ატარებს პირდაპირ ხასიათს.

დაჯგუფებათა ბრძოლამ მომგებიან სამშენებლო კონტრაქტებში მონაწილეობისთვის შეიძლება უბიძგოს კლანებს, შეეცადონ, მოკლან ანქვაბი მანამ, სანამ დაიწყებოდეს ანტიკორუფციული რეფორმები, მიაჩნია დე ვაალს. „იმასთან დაკავშირებით, რომ ოლიმპიადა სოჭში ამ ჯგუფებისთვის არის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო, ამგვარი კავშირი შეიძლება არსებობდეს“.

ვაშინგტონის ამერიკის საგარეო პოლიტიკის საბჭოს ევროპისა და ევრაზიის ექსპერტი უ.უეინ მერი ამტკიცებს, რომ თუ თავდასხმა დაკავშირებული იყო „ადგილობრივ დამნაშავეობით დაჯგუფებებთან“, მას არ აქვს ურთიერთობა 2014 წლის ოლიმპიადასთან ანდა რუსეთის სამხედრო ყოფნასთან რეგიონში.

მიუხედავად ამისა, ის ფაქტი, რომ ანქვაბზე თავდასხმა მოხდა გუდაუთის მახლობლად, სადაც განთავსებულია რუსეთის სამხედრო ბაზა, მოსკოვისთვის გამოიყურება, როგორც სავალალო ჩავარდნა უშიშროების დარგში, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ იგი ცდილობს აფხაზეთის დაცვას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, გუდაუთის ბაზაზე რუსეთს ჰყავს ტანკები ტ-62, ჯავშანტრანსპორტიორები, საზენიტო-სარაკეტო სისტემები და რამდენიმე თვითმფრინავი.

2008 წლის აგვისტოში მოსკოვმა აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – კიდევ ერთი სეპარატისტული რესპუბლიკა – სუვერენულ სახელმწიფოებად და სასწრაფოდ განათავსა ათასობით ჯარისკაცი ულიარებელ საზღვარზე მასსა და საქართველოს შორის, ფაქტობრივად, შექმნა ბარიერი თბილისსა და ამბოხებულ ტერიტორიებს შორის. როგორც იტყობინებიან, მხოლოდ აფხაზეთში იმყოფება 3500 ჯარისკაცი და ახალი სამხედრო ბაზა.

საქართველო, დანარჩენი მსოფლიოს უდიდეს ნაწილთან ერთად, არ აღიარებს აფხაზეთის სუვერენიტეტს. რუსეთის სამხედრო ყოფნა რეგიონში აძლიერებს დაძაბულობას თბილისსა და მოსკოვს შორის. რუსეთის ოფიციალური პირები არაერთგზის სდებდნენ ბრალს თბილისს ტერაქტების მომზადებასა და დივერსიებში. მიუხედავად ამისა, ანქვაბზე თავდასხმის გამოძიება კოორდინაციას აკეთებს აფხაზური კლანების ვერსიაზე. ეს იყო ანქვაბის მკვლელობის უკვე მეექვსე მცდელობა, ამ თანამდებობამდე მას ეკავა აფხაზეთის ფაქტობრივ მთავრობაში პრემიერ-მინისტრის პოსტი.

„აფხაზეთი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს ქვეყანა, სადაც პოლიტიკური ურთიერთობანი და წესრიგის დამყარების გეგმები გადაკვეთენ კრიმინალურ, ექსტრემისტულ და მათთან დაახლოებულ პოლიტიკურ წრეებს“, – განაცხადა ანქვაბმა, საინფორმაციო სააგენტოების ცნობის თანახმად. – მე ვიზიარებ აფხაზეთის მოქალაქეების აზრს, რომლებიც ამბობენ, რომ ეს არის თავდასხმა ჩვენს სახელმწიფოებრიობასა და სუვერენიტეტზე, რომ ეს არის მცდელობა, შიგნიდან მოახდინონ სიტუაციის დესტაბილიზაცია“.

ქართველი ანალიტიკოსის ალექსანდრე რონდელის სიტყვებით, მოსკოვი „მთლიანად“ აკონტროლებს აფხაზეთს და მთელი საშინაო ბრძოლა გავლენისთვის იქ წარმოებს კრემლის თანხმობით. ამავე დროს რონდელს მიაჩნია, რომ რუსეთს სურს გამოიყენოს არასტაბილური სიტუაცია რეგიონში – და პოტენციური შესაძლებლობა რაიმე ინციდენტებისა ოლიმპიადაზე, რათა დასაჯოს საქართველო.

დე ვაალი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულ საფრთხეს ოლიმპიადისთვის შეიძლება წარმოადგენდნენ მუსლიმანი რადიკალები, რომლებიც ისწრაფვიან შური იძიონ ჩეჩნეთზე. „ოლიმპიადას შეიძლება ბევრი პრობლემა ელოდებოდეს“, დაწყებული ტექნიკური სირთულეებით და უშიშროების საფრთხით დამთავრებული, ამტკიცებს იგი.

bne

## დედამიწის ზურგზე



**დაადგინეს აფეთქების მიზეზი, რის შედეგადაც დაიღუპა დაახლოებით 200 კაცი და რამაც მოიცვა რუსეთის საელჩო კონგოში**

როგორც ჩანს, აფეთქება გამოიწვეია სადენების პრობლემებმა და ხანმოკლე ჩართვამ. 1500 კაცი დაჭრილია. მაშველები კვლავ ეძებენ დაზარალებულებს. ამ დროს ქვეყნის ხელისუფლება საერთაშორისო ორგანიზაციებს სთხოვს დახმარებას და ამშვიდებს თავის მოქალაქეებს: ეს არ არის ომი და ეს არ არის სახელმწიფო გადატრიალება.

**ინდოეთში დაკარგული რუსი ტურისტის ცხედარი იპოვეს**



გრიგორი კატორკინი დაიკარგა გოვაში 23 თებერვალს ჩანჩქერზე ექსკურსიის დროს. რუსეთელი გამოეყო ტურისტულ ჯგუფს და წავიდა სასეირნოდ. მის შემდეგ იგი აღარავის უნახავს. 4 მარტს კატორკინის სხეული აღმოაჩინა რუსი მაშველების ჯგუფმა. ცხადია, ის ჩამოვარდა 100 მეტრის სიმაღლიდან და დაიმტვრა.

**რიო-დე-ჟანეიროშ პრეზიდენტად პუტინი აირჩია: როგორ აძლევდნენ ხმას რუსეთელები მთელ მსოფლიოში**



ერთი მილიონ 614 ათასმა რუსეთის მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში საზღვარგარეთ ყოფნის დროს. მათთვის 145 ქვეყანაში გაიხსნა 378 საარჩევნო უბანი. ყველგან პუტინი არ არის პირველ ადგილზე: ლონდონზე ორჯერ მეტი ხმა მიიღო პროხოროვმა.

**სიკვდილისმთესველმა ტორნადომ აშშ-ში დაანგრია მოსკოვი. ქვეყანაში ასობით დაღუპულია**

ოჰაიოს შტატის ქალაქ მოსკოვში სამი მცხოვრები დაიღუპა. სტიქიამ ასევე დარტყმა მიაყენა ალაბამას, კენტუკის, ინდიანის, ტენესის შტატებს. დაიღუპა სულ ცოტა 39 კაცი, ათობით დაკარგულია უგზო-უკვლოდ. პატარა გოგონას ისტორია, რომელიც სასწაულებრივ გადარჩა მის შემდეგ, რაც გრიგალმა გაიტაცა იგი სახლიდან 16 კილომეტრში, სამწუხაროდ დამთავრდა – ბავშვი დაიღუპა, როდესაც ნათესავებმა თანხმობა მისცეს მისი აპარატიდან გამოთიშვის შესახებ.



◎ გამოიცა

# „ერს ვერაფერს დაუმალავ, გაიგებს, გამოფხიზლდება და დაიქუხებს!“

**გამოვიდა ფაზისის აკადემიის ჟურნალ „ცოტნეიდელის“ მეხუთე ნომერი**

**სათაურად გამოტანილი ფრაზა „ცოტნეიდელის“ მეხუთე ნომრის ერთ-ერთი მასალიდანაა აღებული და კარგად გამოხატავს როგორც მთლიანად ამ ჟურნალის, ისე ფაზისის საერო აკადემიის პოზიციას.** აკადემიისა, რომლის ბოლოდროინდელ საქმიანობას ერთგვარად აჯამებს „ცოტნეიდელის“ ეს ნომერი, რომელშიც თავმოყრილია აკადემიის სამეცნიერო სესიების, კონფერენციების მასალები კოლხეთის, საქართველოს ისტორიის კვლევის თაობაზე. აკადემიის მოღვაწეობის ეს უმთავრესი მიზანი გაცხადებულია ჟურნალის პირველსავე გვერდზე, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იგი მოწყვეტილია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას: მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები მასში განხილულია თანამედროვეობასთან კავშირში, თუნდაც ასეთი პარამეტრით — სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთთანამშრომლობა, რათა მატერიალურ კეთილდღეობასთან ერთად ქვეყანაში ყვაოდეს სულიერი ცხოვრება, რამეთუ წინაპართა ტრადიციებს გაგრძელება და მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ჟურნალში პირველად იბეჭდება საქართველოს სახალხო მხატვრის, ცნობილი პორტრეტისტის **გიორგი გეგეჭკორის** ბრწყინვალე ნამუშევარი „გუბაზ მეფე, ხელში ბედისწერის ფიალით“, სადაც გამოსახულია მოსყიდული მსტოვრის სასიკვდილო ისარი, როგორც სასჯელი მამულის, მშობელი ერისა და დედაეკლესიისადმი გულმხურვალე სიყვარულისთვის. ასეთი ისტორიული შედარებების ფონზე ჟურნალში იბეჭდება საქართველოს პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** გამოსვლა თავისუფლების მოედანზე საფრანგეთის პრეზიდენტის ბატონ **ნიკოლა სარკოზის** საქართველოში ვიზიტის დროს. აქვე იბეჭდება **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორე ალმაშენებლის** საახალწლო და საშობაო მილოცვები, რაც ქვეყნის სულიერი მოღვაწეობის სამოქმედო პროგრამაა ღვთიურ გზაზე.

ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავს ეძღვნება წერილები გენიალური პოეტის შემოქმედებაზე. დასტამბულია გალაკტიონ ტაბიძის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალებიც.

მეტად დამაფიქრებელია სტატიები — „ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები“ (სამეგრელო, ანდაზები და შეგონება ქართული ტექსტით). „ლაზეთი, ისტორიული ტაო-კლარჯეთი, ანდაზები, შეგონებები“ ისინი საინტერესოა ენის, ისტორიის, ლექსიკის, მითოლოგიის, აზროვნების სიღრმის და სხვა თვალსაზრისით.

წერილების სერიალი ეძღვნება




კოლხეთის უძველესი ისტორიის მსოფლიო მნიშვნელობას, ფესტოსის დისკოს და შუმერების ტექსტები ქართული სინამდვილის უძველესი ცივილიზაციის მაჩვენებელია, რომელიც ოთხიათას წელს მოიცავს. აქვე იბეჭდება **ვლადიმერ ვახანიას** წერილი ამ საკითხებზე. ეს არის საოცარი პარალელები ათასწლეულის წინანდელი ქალღმერთი ნანას და ღვთისმშობლისა, გაშიფრულია უძველესი იბერიული წარწერები.

ჟურნალში ვრცლად არის გაშუქებული 1819-20 წლების საეკლესიო აჯანყება. ფაზისის აკადემიამ ჩაატარა გამსვლელი სხდომა რაჭაში. სამწუხაროდ, ქართველი ერის სულიერ გენოციდზე აქამდე არავის არაფერი უთქვამს. არადა, რუსეთის იმპერია მას მოიხსენიებდა როგორც „ცერკოვნი ბუნტს“. ამ მოვლენის მამოძრავებელი ძალა იყო ქართველი ერი, ხოლო ხელმძღვანელი — სამხედრო-საეკლესიო რაინდთა ორდენი ფუსტები, რომლებმაც ეს აჯანყება მოაწყვეს რუსების წინააღმდეგ საქართველოს ეკლესიის უძვირფასესი საგანძურის გადასარჩენად.

ჟურნალი აქვეყნებს ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტის სიტყვა-პოზიციას ცოტნეიდელთა განსჯისათვის — **„სანამ არ არის ჯერ კიდევ გვიან, გადაცდომათა გამოსწორების გულწრფელი სურვილებითა და მოლოდინით“:** „იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდის შედარებით ლიბერალური განცხადება, ზოგადი დებულებებითა და მკვეთრი პოზიციის დაფიქსირების გარეშე, საბოლოო რედაქციით გაახმოვანა და პრესით, ტელევიზიების მაუწყებლობით მოსახლეობას გააცნო მისმა ყოვლად მაღალუსამღვდელოესობამ, ფაზისის მიტროპოლიტმა, ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდიუმის წევრმა, აკადემიკოსმა მეუფე გრიგოლმა, იძულებული ვართ, სამწუხაროდ, დავეთანხმოთ ქართველი ერის უთვალსაჩინოესი მამულიშვილების: **რეზო ჩხეიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, რეზო ამაშუკელის, რეზო ესაძის, როინ მეტრეველისა** და სხვების გულისტკივილს და ფაზისელი მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი მის თანამოაზრეებთან ერთად ვაღიაროთ ქართველი ერის, საქართველოსა და დედა ეკლესიისადმი (საქართველოს პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული საეკლესიო კანონის მხარდაჭერით) რეალურად მოსალოდნელი საფრთხეების კანონმდებლობითვე თავიდან ასაცილებლად მიმართული პატრიარქისა და მისი თანამოაზრეების პატრიოტული პოზიციის მოწინააღმდეგედ და, სამომავლოდ, ქვეყნისთვის საშიში საეკლესიო კანონის მომხრეთა ინიციატორ-თაოსნად“.

„ცოტნეიდელში“ გამოთქმულია გულისტკივილი რუსთაველის თეატრიდან ამჯერად **რობერტ სტურუას** განდევნის გამო. ისტორიული პარალელები შეგვახსენებს ეროვნულ ნიადაგზე მდგომ უნიჭიერეს პიროვნებათა: ივანე ჯავახიშვილის, კოტე მარჯანიშვილის, სანდრო ახმეტელისა და დოდო ალექსიძის სამოღვაწეო ასპარეზიდან განდევნის ფაქტებსაც.

ერთ საგაზეთო წერილში ძნელია ამ მართლაც მრავალმხრივი და ტევადი ჟურნალის ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი მასალების სრულად გადმოცემა და გაანალიზება. თუმცა ეს არც არის საჭირო, რადგან ამას მკითხველი თავად გააკეთებს.

**ზურაბ აბრალავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

**რედაქციისგან: გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ულოცავს „ცოტნედიელის“ იდეის ავტორს, გამომცემელსა და მთავარ რედაქტორს, ეკონომიკის დოქტორს ნუგზარ ნადარაიას დაბადებიდან 67 წლისთავს და ჯანმრთელობასა და მორიგ წარმატებებს უსურვებს საქვეყნო საქმის საკეთილდღეოდ.**

◎ ნორჩია და მაინც იბრძვის

# ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ ხუთი წლისაა

**ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 2007 წლის თებერვალში და დღემდე ის ერთადერთი ბეჭდვითი გამოცემაა სამართლებრივ თემაზე. სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება შეუძლებელია საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ამაღლებისა და ცნობიერებაში კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრების გარეშე, რაც აპირობებს სამართლებრივი იდეისა და ცოდნის გავრცელებასა და პროპაგანდას. ამ აუცილებელ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს ხელისუფლება სრულ იგნორირებას უკეთებს, რაც ვერ თავსდება მის მიერვე ოფიციალურად დეკლარირებულ სამართლებრივი რეფორმის კურსთან.**

ასეთი მიდგომა იმით უნდა აიხსნას, რომ რეფორმის ლოზუნგით ხელისუფლებამ ფაქტობრივად შექმნა კონიუნქტურული, მის ინტერესებს მორგებული მახინჯი სამართლებრივი სისტემა, რაც რაიმე სერიოზული ანალიზის გარეშეც, მისი არასტაბილურობით კანონების მუდმივი ცვლილებებითაც დასტურდება. ასეთ პირობებში კერძო ინიციატივით ჟურნალის გამოცემა და მასში სამართლებრივი თემების და პრობლემების წარმოჩენა მართლაც ღირსეულად დასაფასებელი საქმეა. ჩვენ ვულოცავთ ჟურნალის გამომცემლებს, სარედაქციო კოლეგიას და ვუსურვებთ წარმატებებს შემდგომ საქმიანობაში.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ჟურნალ „ცხოვრება და კანონის“ დამფუძნებლები არიან იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ გამყრელიძე და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ჯემალ შელია.




ჟურნალის რედაქციისგან ამ დღეებში გვაცნობეს კიდევ ერთ, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვან ინიციატივაზე — ჟურნალის კოლეგია გეგმავს სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციას თემაზე: „სამოქალაქო საზოგადოების იდეა საქართველოში: ისტორია და დღევანდელობა“. თემა ნამდვილად აქტუალურია და იმედს გამოვთქვამთ, რომ მასში მონაწილეობას მიიღებენ სამეცნიერო დაწესებულებები, უფლებადამცავი და არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოების ფართო წრე.

**ნიკოლოზ ქობულაძე**

◎ „ციცინათელას“ ახალი გაელვება

# დიდ-პატარის მოსაწონი...

**გარდა იმისა, რომ აკაკი ბრეგაძე რუსული კლასიკის ცნობილი მთარგმნელი და გემოვნებიანი ლიტერატორია, შეიძლება ითქვას, ერთ სამაგალითო საქმესაც აკეთებს — 15 წელზე მეტია სცემს და რედაქტორობს დამოუკიდებელ საბავშვო ალმანახ „ციცინათელას“, რომელიც ჩვენი ნორჩების, მოსწავლე ახალგაზრდობის (და უფროსი თაობისაც) საყვარელ გაზეთად არის ქცეული**. და ეს, უპირველესად, გამოწვეულია ნაირფერი და, რაც მთავარია, ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული მასალებით — ჩვენი სათაყვანო მწერლებისა და პოეტების მცირე ზომის მოთხრობებით, ლექსებით, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხებისადმი, მამაცი წინაპრებისადმი მიძღვნილი გემოვნებიანი წერილებით, ათასნაირი გასართობით, თავსატეხით, სხარტულით, გამოცანით... ალმანახი ყოველთვის დიდ ადგილს უთმობს ნორჩების შემოქმედებას — მოთხრობებს, ლექსებს, ნახატებს... ეს კი, თავისთავად, ინტერესს აორმაგებს „ციცინათელასადმი“.

მაშ, კვლავაც მამულიშვილური შემართება არ მოჰკლებოდეს მის გამომცემელ-რედაქტორს აკაკი ბრეგაძეს და ყველას, ვინც ამ ყოველთვიურ გამოცემას მკითხველთა გულის გასახარად ამზადებს.




# სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ

**რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 1 მარტის დადგენილების საფუძველზე 2012 წლის 5 მარტს ცხადდება კონკურსი სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.**

1. კანდიდატს მოეთხოვება:
ა) უმაღლესი განათლება;
ბ) 5 წლის სამუშაო სტაჟი;
გ) სამოქმედო გეგმა;
2. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყება 2012 წლის 5 აპრილიდან და დასრულდება 2012 წლის 19 აპრილს.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს რსუ-ს საარჩევნო კომისიაში (ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №12), შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე;
4. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:
ა) სამოქმედო გეგმა;
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით 3/4;
დ) ავტობიოგრაფია (CV);
ე) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სათანადო წესით დამოწმებული ასლი;
ვ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან/ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;
ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;
5. რსუ-ს რექტორის არჩევნები ჩატარდება 2012 წლის 21 მაისს. რექტორის არჩევნებამდე რსუ-ს აკადემიური საბჭო მოისმენს რსუ-ს რექტორობის კანდიდატის სამოქმედო გეგმას.

სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ აკადემიური საბჭო

## ⊙ კალათბურთი

# თითქოს პირი შეკრესო



**სუპერლიგის XVI ტური „ქუთაისისა“ და „ოლიმპის“ ცენტრალური მატჩით გაიხსნა.**

**როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა თავიდან ბოლომდე უშელავათოდ წარიმართა, რასაც ხელი მაყურებლებით გადაჭედილმა ტრიბუნებმაც შეუწყო.**

დიდია, ძმები ბარბაქაძეები, მათიაშვილი და ცეკვავა — აი, ის ხუთეული, რომლის დიდებულმა თამაშმაც განაპირობა რიონისპირელთა მნიშვნელოვანი გამარჯვება — 90:84. არადა, უკანასკნელ წუთზე, როცა სტუმრები 3 ქულით აგებდნენ შეხვედრას, მათ სერბ თავდამსხმელს ტოდოროვიჩს უაღრესად ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტი ტყორცნით რომ დაეგვირგვინებინა ეპიზოდი, კაცმა არ იცის, როგორ განვითარდებოდა დასკვნითი მოვლენები.

ტურის დანარჩენ მატჩებს თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა.

**„სოხუმი“ — „ბათუმი“ 91:52.**

ზღვისპირულ დერბიში დევნილთა კლუბი იმდენად სოლიდურ უპირატესობას ფლობდა, რომ მის ჭაბუკ დებიუტანტებსაც მიეცათ თავის გამოჩენის საშუალება და მათაც ბოძებული შანსი მშვენივრად გამოიყენეს: როგავა — 11, ჯანაშია — 10 ქულა.

**შსს — „დინამო“ 87:74**

ძალოვანთა დისკვალიფიკაციამოხდილი გამთამაშებელი ლარი ბლერი იძულებითი უქმობისას, ეტყობა, დროს ფუჭად არ ჰკარგავდა.

ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს ამერიკელი ლეგიონერის მიერ პარტნიორთა ყულაბაში ჩახრიალებული 41 ქულა გვაძლევს, რაც მისივე და სოხუმელი ფაცაციას სეზონის შედეგიანობის რეკორდის გამეორებაა.

სხვათა შორის, ქებას დამარცხებული გუნდიც იმსახურებს, რომელიც ბოლო პერიოდამდე ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა ფავორიტს.

**„არმია“ — თსუ 118:56**

პირველი წრის მსგავსად, მეტოქეთა შეხვედრა ამჯერადაც სკანდალით აღინიშნა, რომელსაც სათავე შესვენებამდე 3 წამით ადრე დაედო.

ამ ეპიზოდში სტუდენტთა სათადარიგო სკამთან ბურთის შემოტანისას რიჩარდსონი და ჩიკვილაძე წაკინკლავდნენ. ბუნებრივია, მსაჯებმა ორივეს დაატოვებინეს სარბიელი. ასეთივე სანქცია დაიმსახურეს თსუ-ს რეზერვისტებმა, რომლებიც ელვისებურად ჩაებნენ ორომტრიალში. ასე რომ, დებულების შესაბამისად, ნუგზარ ჭეიშვილს მომდევნო შაბათს „სოხუმის“ წინააღმდეგ მხოლოდ იმ ხუთი კალათბურთელის გამოყვანა შეეძლება, რომლებმაც ქვეყნის მოქმედ ჩემპიონებთან უთანასწორო ბრძოლა ჩაამთავრეს.

**„სამედიცინო“ — „რუსთავი“ 74:66**

ამ შეხვედრაზე იტყვიან — ციხე შიგნიდან ტყდებაო, რადგან სტუმრები სწორედ რუსთავში დაოსტატებულმა მოთამაშეებმა გატეხეს წელში: ჭოჭუა — 31, დვალიშვილი — 24 ქულა.

სხვათა შორის, მატჩს მათი აღმზრდელი ოთარ ხმელიძე ესწრებოდა, რომელსაც, ვფიქრობთ, საკუთარი ვაჟის ნაყოფიერი გარჯითაც შეუძლია მოიწონოს თავი — 20 ქულა. ისვენებდა სტუ.

**სატურნირო მდგომარეობა:** „არმია“ — 14, „ოლიმპი“ — 11, „ქუთაისი“ — 10, „სოხუმი“, შსს აკადემია — 9-9, „დინამო“ — 7, „სამედიცინო“ — 6, სტუ, თსუ — 5-5, „ბათუმი“ — 2, „რუსთავი“ — 1 მოგება.

**შემდეგი ტური:** „რუსთავი“ — „დინამო“ (9 მარტი, რუსთავში), „სოხუმი“ — თსუ, შსს აკადემია — „ქუთაისი“, „სამედიცინო“ — „არმია“, სტუ — „ოლიმპი“ (10 მარტი). ისვენებს „ბათუმი“.

## ⊙ ჭადრაკი

# ლიდერებს კვალში უდგანან

**საქართველოს 11 წარმომადგენელი მონაწილეობს თურქულ გაზიანთეფში მიმდინარე მოჭადრაკეთა ინდივიდუალურ ევროპის ჩემპიონატში.** ისინი მეტოქეობას უწევენ ისეთ სახელოვან დიდოსტატებს, როგორებიც არიან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები — ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთიდან) და ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთიდან), ორ-ორგზის ევროპის ჩემპიონები — კატერინა ლაგნო (უკრაინიდან) და ტატიანა კოსინცევა (რუსეთიდან), კონტინენტის პირველობის გამარჯვებულები — ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვიდან), ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთიდან), ნატალია ჟუკოვა (უკრაინიდან, 2010 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროსმედალოსნები ნადეჟდა კოსინცევა და ვალენტინა გუნინა (ორივე — რუსეთიდან) და სხვები.



ლელა ჯავახიშვილი

გაზიანთეფში უკვე გათამაშდა სამი ტური. ოთხ ჩვენებურს (ნინო ხურციძე, სოფიკო გურამიშვილი, სალომე მელია, ნინო ბაციაშვილი) 2,5-2,5 ქულა აქვს და ლიდერებს (ვიქტორია ჩმილიტე, ქრისტინა — ადელა ფოიშორი — რუმინეთი და მარი სებაგი — საფრანგეთიდან) ისინი ნახევარნახევარი ქულით ჩამორჩებიან. განსაკუთრებით გურამიშვილის წარმატება გვინდა აღვნიშნოთ — მეორე ტურში მან რუსთა იმედი — ნადეჟდა კოსინცევა დაამარცხა... დაამარცხა, თანაც ენდშპილში სოფიკომ ისეთი ხაფანგი დაუგო მეტოქეს, რომ სახელოვანმა დიდოსტატმა თავის დაღწევა ვერაფრით შეძლო. სამი ტურის შემდეგ დანარჩენ ქართველთა მონაგარი ასეთია: ნაზი პაიკიძე, მერი არაბიძე, სოფიო გვეტაძე, ლელა ჯავახიშვილი, ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი — 2-2, მირანდა მიქაძე — 1 ქულა.

ჩემპიონატზე შვეიცარიული სისტემით 11 ტური გათამაშდება.

**ლექსო ცინცაძე**

## ⊙ რაგბი

# თასის ბედი, ალბათ, რუმინეთში გადაწყდება



**ერთა თასის გათამაშების მორიგ ტურში — 10 მარტს საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ბუქარესტში რუმინეთს დაუპირისპირდება, სადაც, ფაქტობრივად, წლევანდელი მთავარი პრიზის ბედიც გადაწყდება. ბორჯღალოსანთა თავკაცმა მილტონ ჰეიგმა ნაკრებში შემდეგი მოთამაშეები გამოიძახა:** ვასილ კაკოვინი, ირაკლი ნატრიაშვილი, დავით ქუბრიაშვილი, მიხეილ ნატრიაშვილი, რეზო ბელქანია, შალვა მამუკელაშვილი, თორნიკე ლომიძე, გიორგი ჩხაიძე, გიორგი ნემსაძე, გელა შალამბერიძე, შალვა სუთიაშვილი, ბექა ბიწაძე, ვიქტორ კოლელიშვილი, გივი ბერიშვილი, მამუკა გორგოძე, დიმიტრი ბასილაია, ირაკლი აბუსერიძე, გიორგი ბეგაძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ლაშა მალაღურაძე, მერაბ შარიქაძე, დავით კაჭარავა, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი მაჩხანელი, ალექსანდრე თოდუა, ირაკლი ჩხიკვაძე, ბექა წიკლაური, გიორგი შკინინი.

**იმავე დღეს ერთა თასის კიდევ ორი მატჩი გაიმართება:** პორტუგალია — ესპანეთი, რუსეთი — უკრაინა. **ორი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასეთია:** რუმინეთი — 9, ესპანეთი — 9, საქართველო — 6, რუსეთი — 4, პორტუგალია — 2, უკრაინა — 0 ქულა.

**ლაშა დიდია**

## ⊙ ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე



**იტალია.** „რომა“ — „ლაციო“ 1:2, „იუვენტუსი“ — „კიევო“ 1:1, „პალერმო“ — „მილანი“ 0:4, „ინტერი“ — „კატანია“ 2:2, „პარმა“ — „ნაპოლი“ 1:2.

**ესპანეთი.** „რეალი“ — „ესპანიოლი“ 5:0, „ბარსელონა“ — „ხიხონი“ 3:1, „გრანადა“ — „ვალენსია“ 0:1, „სევილია“ — „ატლეტიკო“ 1:1, „ბილბაო“ — „სოსიედადი“ 2:0.

**ინგლისი.** „სიტი“ — „ბლექბერნი“ 2:0, „ტოტენჰემი“ — „მანჩესტერი“ 1:3, „ვესტ ბრომვიჩი“ — „ჩელსი“ 1:0, „ლივერპული“ — „არსენალი“ 1:2, „ნიუკასლი“ — „სანდერლენდი“ 1:1.

**გერმანია.** „ბორუსია“ — „მაინცი“ 2:1, „ლევერკუზენი“ — „ბაიერნი“ 2:0, „ჰამბურგი“ — „შტუტგარტი“ 0:4, „ნიურნბერგი“ — „გლადბახი“ 1:0, „ჰერტა“ — „ვერდერი“ 1:0.

**საფრანგეთი.** „პარი სენ-ჟერმენი“ — „ევიანი“ 4:1, „დიჟონი“ — „მონპელიე“ 1:1, „მარსელი“ — „ტულუზა“ 0:1, „ნანსი“ — „ლიონი“ 2:0.

## ⊙ ვარაუდი

# გვარდიოლა - ყველაზე ძვირი მწვრთნელი?

**ლონდონის „ჩელსის“ პატრონი რომან აბრამოვიჩი თვლის, რომ საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ მის გუნდს სათავეში ჩაუდგება თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი წარმატებული დამრიგებელი, კატალონიის „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა.**

ლონდონის კლუბიდან წამოსულ წყაროზე დაყრდნობით, კვირას „არისტოკრატების“ პორტუგალიელი დამრიგებლის ანდრე ვილაშ-ბოაშის დათხოვნის შემდეგ, „ბარსას“ თავკაცი რუსი მილიარდერის პირველი კანდიდატია.



ადრე აბრამოვიჩი „ლივერპულის“ ყოფილი მწვრთნელის რაფაელ ბენიტესისკენ იყურებოდა, მრჩევლები კი აყენებდნენ გლენ ხოდლისა და ჰარი რედნაპის კანდიდატურებსაც, მაგრამ მილიარდერმა მათზე კატეგორიული უარი თქვა.

„აბრამოვიჩს უნდა მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელი, გვარდიოლა ზუსტად პასუხობს მის მოთხოვნებს, რასაკვირველია, თუკი ის დათანხმდება „ბარსადან“ წასვლაზე“.

ამბობენ, რომ „ჩელსი“ მზადაა ესპანელ სპეციალისტს შესთავაზოს ფეხბურთის ისტორიაში რეკორდული კონტრაქტი, თუმცა თავად გვარდიოლას ჯერჯერობით არ გაუგრძელებია „ბარსელონასთან“ მოქმედი შეთანხმება, რომელიც გათვლილია სეზონის ბოლომდე.

## ⊙ ინტერნეტიდან

### ქალები თავშლებით ითამაშებენ



**პლანეტაზე ყველაზე პოპულარულ სპორტულ თამაშში — ფეხბურთში ისტორიული ცვლილებებია მოსალოდნელი. ფიფა მზადაა ცვლილებები შეიტანოს წესებში — მუსულმან ქალიშვილებს უფლება ეძლევათ, ფეხბურთი ითამაშონ თავშალ-ჩადრით.**

აქამდე დიდ ფეხბურთში აკრძალული იყო ასე თამაში. სპორტის ფუნქციონერების აზრით, თავშალი ემუქრება ქალის ჯანმრთელობას. ალტერნატივის სახით, ქალფეხბურთელებს წინადადება ეძლეოდათ, ეთამაშათ სპეციალური კეპებით. მაგრამ ამ წინადადებას მომხრეები არ აღმოაჩნდა.

თავშალ-ჩადრი დიდი სკანდალის მიზეზიც გახდა, როდესაც ფიფამ უარი უთხრა ირანის ქალთა ნაკრებს, ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირში იორდანიის გუნდთან ეთამაშა სწორედ ამგვარი თავსაბურებით, მას თამაშის ნება მისცეს მხოლოდ გაეროს ჩარევის შემდეგ.

### ფედერერი დუბაიშიც იმარჯვებს

**დუბაიში ჩოგბურთელთა დიდ ტურნირზე მეხუთე გამარჯვება (2003, 2004, 2005, 2007 და 2012 წელი) მოიპოვა შაბათს შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა. მან საათსა და 36 წუთში დაამარცხა ბრიტანელი ენდი მარეი — 7:5, 6:4.**

2011 წელს ამერიკის ღია ჩემპიონატზე ნახევარფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩმა დამარცხების შემდეგ ფედერერმა მოიგო 35-დან 33 მატჩი. დუბაიში მოპოვებული წარმატება 72-ე გამარჯვებაა ATP World Tour ტურნირში და მეხუთე — შარშანდელი 8 აგვისტოს შემდეგ, როცა როჯერმა 30 წლის იუბილე აღნიშნა. დუბაის ტურნირის საპრიზო ფონდი მილიონ შვიდასი ათას 475 დოლარი იყო.

### ლამაზმანები პოლიტიკაში

**პოლიტიკით მხოლოდ ნაცრისფერკოსტიუმებში გამოწყობილი და სათვალიანი ჭკვიანი მამაკაცები როდი ინტერესდებიან, არამედ მკერდსავსე და მოკლეკაბიანი ლამაზმანებიც. მაგალითად, ბულგარელი ზლატკა დიმიტროვა და ზლატკა რაიკოვა (სურათზე) წაიყვანენ პოლიტიკურ ტელეგადაცემებს.**

როგორც ქერა, ისე შავგვრემანმა ლამაზმანებმა საფუძვლიანად იციან მუამარ კადაფის ბიოგრაფია, ერკვევიან მსოფლიო ეკონომიკის პრობლემებში, გამუდმებით დავობენ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებზე.



„ბევრი მამაკაცი გაცნობისთანავე ცდილობს ჩვენს გაკილვას. მათ უბრალოდ არ იცოდნენ, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე“ — ამბობს რაიკოვა. აღსანიშნავია, რომ როგორც რაკოვა, ისე დიმიტროვა ოდესღაც ხვდებოდნენ წესების გარეშე მებრძოლ ცნობილ ბლაგოი ივანოვს, რომელიც სახელგანთქმული იყო მთელ მსოფლიოში. 2008 წელს მან დაამარცხა ფელორა ემელინენკო. თუმცა ის ალბათ ჩამოშორდება სპორტის ამ სახეობას. ამას წინათ ის დანით დაჭრეს და ახლა იმყოფება სოფიის ერთ-ერთ საავადმყოფოში.

## გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები მარტში

**გრაფიკით მინიმუმების დღეებში: 6-ში, 13-ში, 19-სა და 25-ში შეიძლება შეინიშნებოდეს სისუსტე და ძალების დაქვეითება. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია შევამციროთ დატვირთვა და გავზარდოთ დასვენების დრო.**

**2012 წლის მარტის დაძაბული დღეებია: 8 (13-15), 11 (07-09), 15 (05-08), 30 (06-09), 20 (08-10), 22 (16-19), 26 (21-23), 30 (21-23).**

**მარტში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 1, 2, 5, 8-11, 14-16, 20-22, 26, 30 რიცხვებში.**

**ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება. ყველა სახის ავარიულობის გადიდება, სეისმოაქტიურობის გაძლიერება და დაძაბულობა სოციუმში.**

**8 – სრული მთვარე, მთვარე-მარსის შეერთება.** შესაძლებელია თავის ტკივილები, მშფოთვარე ძილი, კუჭნაწლავითა ტრაქტის მუშაობის დარღვევა. ერიდეთ კონფლიქტებს, ფიზიკურ და გონებრივ გადაღლილობას, ურთიერთობათა გარკვევა პარტნიორებთან ჯობს გადავდოთ. სასარგებლოა გამწმენდი პროცედურები, პროფილაქტიკური ღონისძიებანი, სრულფასოვანი ძილი. ერიდეთ ადამიანების დიდ თავშეყრას, ტრავმატიზმს, დაცემებს, თავის დარტყმას, დამწვრობას, ნაჭრილობებს, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებს.

**11 – მთვარე-სატურნის შეერთება.** უნდა მოვერიდოთ გაციებას, ფეხები და კისერი გქონდეთ სითბოში, გამოიყენეთ კვების ჯანსაღი პროდუქტები. ერიდეთ ტრავმატიზმს, მოტეხილობას, ძველი პროდუქტებით, გაზებითა და უცნობი წამლებით მოწამვლას. უარი თქვით მძიმე საგნების გადატანაზე და ახალი საქმეების წამოწყებაზე.

**15 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი.** მოსალოდნელია ტკივილები ხერხემალსა და სახსრებში, კბილისა და კანის დაავადებანი. არ არის გამორიცხული პრობლემები სამუშაოზე ან ოჯახის უფროს წევრებთან. ერიდეთ გაციებას, მძიმე ფიზიკურ მუშაობას და სიმძიმეების გადატანას. ხელსაყრელი დროა დაწყებული საქმეების დასასრულებლად.

**16 – მთვარე-პლუტონის შეერთება.** შესაძლებელია ძვლების, სახსრების ქრონიკული დაავადებების გამწვავება, ტკივილები ფეხებსა და ხელებში. არ არის გამორიცხული შარდსადენი ორგანოების დაავადებანი. დიდია დაცემებისა და მოტეხილობათა ალბათობა. რეკომენდებულია გამოვრიცხოთ მძიმე ფიზიკური დატვირთვა, სიმძიმეების გადატანა, ერიდეთ გაციებას.

**20 – მზე გადადის ვერძის ნიშანში. მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** რეკომენდებულია არ გადავტვირთოთ თვალები და ფეხები, შევამციროთ საყოფაცხოვრებო ქიმიის საგნებთან კონტაქტები, ერიდეთ ტრავმატიზმს, მოწამვლას, მოტყუებას, ქურდობას, ცუდად მოფიქრებულ მოქმედებებს.

**22 – სრული მთვარე. მთვარის მერკურთან და ურანთან შეერთება.** შესაძლებელია თავის ტკივილი, უძილობა გადაღლილობის ან აკვიატებული აზრების გამო. შეიძლება გაჩნდეს ანდა გამწვავდეს თავის, თვალების, კბილებისა და ყურების დაავადებანი. რეკომენდებული არ არის დავიწყოთ ახალი საქმეები. წამოვიწყოთ გეგმები და მივიღოთ საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებანი – თქვენი აზრი შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს. უკეთესია ეს გააკეთოთ 24 რიცხვის შემდეგ. ერიდეთ დაცემას, ტრავმატიზმსა და დამწვრობას. ფრთხილად იყავით ტრანსპორტზე, დაიცავით ძილისა და დასვენების რეჟიმი, ერიდეთ სტრესულ სიტუაციებსა და კონფლიქტებს.

**26 – მთვარის აპოგეა, მთვარის შეერთება ვენერასთან და იუპიტერთან.** რეკომენდებულია ვერიდოთ გაციებას, ცივი სასმელებისა და ნაყინის მიღებას, უხარისხო პროდუქტების მიღებას, არ გადავტვირთოთ ღვიძლი მძიმე და ცხიმიანი საკვებით. არის საფრთხე, რომ შეიძლება მოვიწამლოთ საკვებით, ალკოჰოლით, გაზით, უცნობი წამლებით ან სითხეებით. სოციუმში არ არის გამორიცხული კონფლიქტები იდეოლოგიურ ან ეთნიკურ ნიადაგზე. სასარგებლოა წყლის პროცედურები და მცირედი შეზღუდვები კვებაში.

**30 – მთვარის პირველი მეოთხედი.** შეიძლება დაირღვეს ღვიძლის, საკვებგადამამუშავებელი სისტემის მუშაობა, მოსალოდნელია შეშუპება, რეკომენდებულია, თავი შევიკავოთ სპირტიანი სასმელებისგან, სიმძიმეების გადატანისა და ცხარე საკვების მიღებისგან, ვერიდოთ ემოციურ დატვირთვებსა და სტრესებს. ხელსაყრელი დროა ბინის მოწყობისა და ახალი საქმეების დაწყებისთვის.

## ეპიტაფია

### ვემშვიდობებით ჩვენს მეგობარ აფხაზ პოეტს

# ბორის გურგულიას



აფხაზეთიდან ძალიან ცუდი ამბავი მოვიდა – ტამიშთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა თვალსაჩინო აფხაზი პოეტი, პუბლიცისტი, მეცნიერი, აფხაზეთის უნივერსიტეტის პროფესორი, „ახიდ-აპშას" ორდენის კავალერი, აფხაზეთის მწერალთა ეროვნული კავშირის თავკაცი, რუსული და ქართული პოეზიის მთარგმნელი ბორის გურგულია, რომელმაც უმაღლესი განათლება თბილისში მიიღო (1953-1958 წლებში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე). ბორისისთვის აფხაზურთან ერთად ქართულიც მშობლიური ენა იყო, თბილისში სწავლის წლებში, ალბათ, ვერც წარმოედგინა, თუ ოდესმე დადგებოდა ისეთი დრო, როცა არაერთი საუკუნის მანძილზე გაერთსხეულებული საქართველო და აფხაზეთი ერთმანეთს ზურგს შეაქცევდნენ და შუაში მესამე ძალა ჩადგებოდა.

ფრიად დასანანია ისეთი უტყუარი შემოქმედისა და მეგობრის დაკარგვა, როგორიც ჩვენი ნამდვილი სულიერი ძმა ბორის გურგულია იყო, რომელსაც დიდებულ ოჯახთან ერთად დიდებული შემოქმედება დარჩა.

ფრიად გულსატკენია, რომ ჩვენი ძვირფასი ბორისი ვერ მოესწრო კვლავინდებურად ერთი ცის ქვეშ ჩვენს საერთო ცხოვრებას. მანამდე კი, იმედია, ჩვენს შორის სიყვარულისა და ძმობის მთელი ძალით სასიკეთოდ იმოციქულებს ბორის გურგულიას ღონიერი აფხაზური ლექსი.

ჩვენი ისტორია მთის მდინარესა ჰგავსო, ხშირად უყვარდა ბორისს თქმა, უამინდობის ჟამს ხან იქნებ აიმღვრეს კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაკამკამდებაო...

ჭეშმარიტად, ძმაო ბორის, შენ ბრძენი აფხაზი მამულიშვილი იყავი, ბრძენი პოეტი. ბრძენ პოეტებს კი არასოდეს არაფერი არ ეშლებათ.

გენო კალანდია, გურამ გოგიაშვილი

## განცხადება

2012 წლის 26 მარტს 15 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოება „ოპიზარის" აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. №121.

დღის წესრიგი:

1. 2011 წლის ბალანსის შედეგების განხილვა;

მომხ: ნ. გუმბერიძე

2. მოგების განაწილების შესახებ დამტკიცების მიღება;

მომხ. ც. მიქაძე

3. სხვადასხვა.

სს „ოპიზარის" აქციონერთა რეგისტრაციის საადრიცხვო დღეა 2012 წლის 10 თებერვალი.

ნანა გუნია თანაუგრძნობს დათო თოფურიას ბებიის

**ლუბა კობახიძე-დუნდუას**

გარდაცვალების გამო.

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება კლინიკის ღვაწლმოსილი თანამშრომლის ლილი ქუცნიაშვილის (თვაური) შვილის

**თათია ქუცნიაშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ჩვენი კარაბადინი

### პატარა მეგობრის დახმარება

**საოჯახო ცხოველის ყოლა ეხმარება ქალებს უკეთ ებრძოლონ მძიმე დაავადებებს, ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები.**

მათ მოაწყვეს გამოკვლევა 48 ქალის მონაწილეობით, რომლებსაც ადამიანის ვირუსიმონოდეფიციტის დიაგნოზი ჰქონდათ დასმული. გამოკვლევის მონაწილეებმა, რომელთა საშუალო ასაკი 42 წელი იყო, აღიარეს, რომ ავადმყოფობასთან ბრძოლაში მათ ეხმარებიან ოჯახის ცხოველები.

ძაღლებისა და კატების პატრონები ყვებიან, რომ ცხოველები მათ ძალიან ეხმარებიან, როდესაც ტკივილები აწუხებთ, როდესაც ცუდ ხასიათზე არიან, თითქოს გრძნობენ კიდეც ამას და ცდილობენ, შეუმსუბუქონ მათ მდგომარეობა. ამას გარდა, ავადმყოფების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ცხოველები მათ იცავენ.

„ცხოველური თერაპია" სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებებშიც. სპეციალისტებს ცხოველები მიჰყავთ ხანდაზმულთა სახლებში და საავადმყოფოებში ბავშვებთან, რომლებიც იქ ხანგრძლივ მკურნალობას გადიან.





### დამნაშავეა ტესტოსტერონი

**ბიჭების შეყოვნება მეტყველების განვითარებაში შეინიშნება ორჯერ უფრო ხშირად, ვიდრე გოგონებისა, დაადგინეს ავსტრალიელმა მეცნიერებმა. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ხდება ტესტოსტერონის მაღალი დონის გამო, რომელიც უტევს ბიჭების ტვინს ჯერ კიდევ დედის საშოში.**

მკვლევარებმა გააკეთეს 767 ახალშობილის ჭიპლარის სისხლის ანალიზი. ბავშვების ენობრივ უნარს აფასებდნენ, როდესაც მათ უსრულდებოდათ 1,2 და 3 წელი. ბიჭებს ტესტოსტერონის მაღალი დონით შეემჩნეოდათ მეტყველების შეყოვნება 2-3-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე გოგონებს, რომლებიც ასევე განიცდიდნენ ამ ჰორმონის ზემოქმედებას.

### ხველება თითქოს არც ყოფილა

**ორი კვირა უსიგარეტოდ საკმარისია, რომ ახალგაზრდა კაცს გაუქრეს „მწეველის ხველება", – ამბობენ ამერიკელი მეცნიერები.**

მკვლევარებმა ტეხასის უნივერსიტეტიდან მოაწყვეს ექსპერიმენტი სტუდენტებს შორის, ვისაც მუდმივმა მოწევამ გაუჩინა ყოველდღიური ხველება და სხვა რესპირატორული სიმპტომები. მონაწილეთა ასაკი 18-დან 24 წლამდე იყო. ყველა მათგანი დღეში ეწეოდა 5-დან 10 სიგარეტამდე ერთიდან ხუთ წლამდე.

მოხალისეთა ერთი ჯგუფი მოწევისაგან თავს იკავებდა ორი კვირის განმავლობაში, მეორე – აგრძელებდა მოწევას. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტებს პირველი ჯგუფიდან გაუჩნდათ მნიშვნელოვანი თვითშეგრძნება – ხველება და სხვა სიმპტომები მათ აწუხებდათ სულ რაღაც ორ დღეს კვირაში. მეორე ჯგუფის წევრებს მდგომარეობა არ შეცვლიათ.



მკვლევარების აზრით, მიღებული შედეგები შეიძლება იყოს ძლიერი მოტივის ფაქტორი მოწევაზე უარის თქმის დროს.

### გამოკითხვა

**ხშირად გაწუხებთ თავის ტკივილი?**

33 პროცენტი – საკმაოდ ხშირად

30,5 პროცენტი – ზოგჯერ, როდესაც ვიღლები მუშაობის დროს ან ავადა ვარ

27 პროცენტი – ძალიან იშვიათად

9,5 პროცენტი – არ ვიცი, არ დავფიქრებულვარ.

სულ გამოკითხვაში მონაწილეობას ღებულობდა 1317 კაცი.

ჩაინიშნეთ

რა დაავადებანი შეიძლება გამოიწვიოს სახლის მტვრის სხვადასხვა კომპონენტებმა?

- წვრილდისპერსიული ნაწილაკები

გადააქვთ მიკრობები და ვირუსები

- მტვრის ტკიპა

ალერგიული რეაქციები, სურდო, ბრონქული ასთმა

- წიგნის მტვერი

ალერგიული კონიუნქტივიტი, დერმატიტი

- სტრეპტოკოკები, სტაფილოკოკები

კანის დაავადებანი, გამონაყარი, ფერიმჭამელები

- მატყლი, ცხოველთა ქერტლი

ალერგიული რეაქციები, კონიუნქტივიტი, ბრონქული ასთმა

- ქიმიური კომპონენტები (საყოფაცხოვრებო ქიმიის მტვერი)

კანის ქავილი, თვალის უპეების ჩამოსივება, რინიტი.

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მეგობრები – საბა და რექსი (საბა გოდერძიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს).

## სხვათა შორის

**როდესაც ქალაქში ცხოვრობ, საყოფაცხოვრებო ტექნიკის გარეშე მტვერს ვერ დაამარცხებ. და, მიუხედავად ამისა, სუპერტექნიკაც ვერ მოხსნის პრობლემას მთლიანად. იგივე ჰაერის გამწმენდი „იწოვს“ ჰაერის მტვერს, მაგრამ თავიდან ვერ მოგვაშორებს იმ მტვერს, რომელიც ქუჩიდან შემოჰყვა თქვენი ფეხსაცმლის ძირს, ან დევს წიგნის თაროზე, ტახტზე, სავარძელში. ბუნებრივია, როდესაც საღამოს სამსახურიდან მოდიხარ სახლში, არ დაიწყებ მტვერსასრუტის ჩართვას. მტვერთან ბრძოლა კი ყოველდღეა საჭირო.**



კერძოდ, რა პრობლემებია? ბინის ექსპრეს-დასუფთავებას დასჭირდება ნახევარ საათზე ნაკლები დრო, თუ:

- მტვრის მოსაცილებლად ზედაპირიდან გამოიყენებთ სპეციალურ მტვერსაწინააღმდეგო ხელსახოცს;
- გარეცხავთ იატაკს სპეციალური ტილოთი, რომლის ხვეული ბოჭკოები იწოვენ მტვერს, სოკოს, ბაქტერიებს;
- შემოსასვლელი კარის წინ დააფენთ არა იაფი რეზინის, არამედ ხარისხიან საბარიერო ხალიჩას.

## დაიჯესტი

### „დაჭრილი“ სფინქსი

**გასული საუკუნის 80-იან წლებში რომის პოლიციას დიდი თავსატეხი გაუჩნდა: დღისით-მზისით, გაბრიელე და ანუნციოს ბულვარზე ერთ-ერთ ქვის სფინქსს... 15-კილოგრამიანი თათი „დაეკარგა“!**

უთათო სფინქსი ნამდვილად საცოდავი სანახაობა იყო, ამიტომ პოლიციელებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს ამ საქმის გამოსაძიებლად. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ სფინქსის თათი... ნორჩი ნარკომანის ოთახს „ამშვენებდა“, რომლის ქვეშ ეს გამოჩერჩეტებული ახალგაზრდა 300 გრამ ჰეროინს ინახავდა. ნარკომანს, ცხადია, თავისი ადგილი „მიუჩინეს“, თათი კი „დაჭრილ პატრონს“ დაუბრუნდა.



### „მოგესალმებით!...

**გაგანია ცივი ომის პერიოდში ამერიკელმა ძმებმა მაიკლ და ბრაიენ მაკკომაკებმა, საერთაშორისო დაძაბულობის ზრდის მიმართ პროტესტის გამოხატვის მიზნით... მისალმების დღე გამოიგონეს!**

იმისათვის, რომ მისალმების დღეს საერთაშორისო რეზონანსი ჰქონოდა, 1973 წლის 21 ნოემბერს ძმებმა მაკკომაკებმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გულითადი მისალმების ბარათები დაგზავნეს. წერილში მაიკლი და ბრაიენი ადრესატს თხოვნით მიმართავდნენ, რომ იგი, თავის მხრივ, კიდევ სხვებს, ათ კაცს მაინც მისალმებოდა. იდეას მხარი მსოფლიოს 180-ზე მეტ ქვეყანაში აუბეს მხარი. მას შემდეგ მისალმების მსოფლიო დღე გულითადი მეგობრული ჩახუტების მშვენიერ საბაბად გადაიქცა.

### ესეც ესე!...

**თუ რაოდენ მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სამყაროში, განსაკუთრებით კი უამრავი ადამიანის კომპაქტურად თავმოყრის ადგილებში (მაგალითად, დიდ ქალაქებში, გნებავთ, ცალკეულ შენობებშიც კი) კანალიზაციის სისტემების გამართულ მუშაობას, ამას, ვფიქრობთ, დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება.**

ამიტომაც იყო, ალბათ, რომ 2001 წლის 19 ოქტომბერს ტუალეტის პრობლემებისადმი მიძღვნილ სინგაპურის საერთაშორისო კონფერენციაზე ეს დღე ტუალეტის საერთაშორისო დღედ გამოაცხადეს! კონფერენციაზე შეკრებილი ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის 17 ტუალეტის ეროვნული ასოციაციის 200-ზე მეტი დელეგატი ამ ერთობ დელიკატური საკითხის ირგვლივ არსებულ პრობლემებს იხილავდა. ფორუმის შედეგად ტუალეტის საერთაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა.

### ამ ამბავს ორი სიტყვით ვერავინ მოყვებოდა...

**„თქმულება დიად ბჰარატებზე“ – „მაჰაბჰარატა“, ინდური ხალხური ეპოსის უდიდესი ნაწარმოებია, რომელსაც საფუძვლად ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის ტომებისა და ხალხების ზეპირი თქმულებები უდევს.**

„მაჰაბჰარატა“ ძალიან დიდი მოცულობის ნაწარმოებია, რომელიც რვაჯერ აღემატება ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეას“ ერთად აღებულებს. ამასთან, ასაკიც სოლიდური აქვს – იგი ორი ათასზე მეტ წელს ითვლის. სანსკრიტზე დაწერილი „მაჰაბჰარატის“ პირველი თარგმანები ევროპაში მე-18 საუკუნეში გაჩნდა, პირველი ინგლისურენოვანი თარგმანი კი 1948 წელს გამოქვეყნდა.




აღსანიშნავია, რომ დღემდე „მაჰაბჰარატას“ მიხედვით მხოლოდ ერთი თეატრალური წარმოდგენაა დადგმული, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში დიდმა ინგლისელმა რეჟისორმა პიტერ ბრუკმა ფრანგ მწერალთან ჟან-კლოდ კარიესთან ერთობლივად დადგა, რასაც ათწლიანი მუშაობა უძღოდა. სპექტაკლი პირველად ავინიონის თეატრალურ ფესტივალზე, ყოფილი კირქვის კარიერის ღია მოედანზე წარმოადგინეს და იგი ცხრა საათს გრძელდებოდა.

## ტელეუპატივცემლობა

### კეთილ ინებეთ და გაგვაფრთხილეთ!

**მე საოპერო მუსიკის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ. დასანანად, ცოტანიღა დავრჩით მელომანნი ძველნი – ჯაზური და სხვა მსუბუქი ჟანრის მუსიკის გამეფების ხანაში... მომწონს კვირაში ერთხელ პირველ არხზე „გაშვებადი“ გადაცემა (კვირადღეობით) „სი ბემოლი“, რომელსაც წიგნიერად უძღვებიან ბუღაძე-უმცროსი და ლადარია (ყოველთვის რომ მზად არიან)... 26 თებერვალსაც იყო ტელეპროგრამით 14.30-ზე გამოცხადებული, „ჩავუსაფრდი“, მაგრამ კლასიკური მუსიკისათვის განწყობილი, ეკრანზე საქართველოს საფეხბურთო პირველობის მატჩს გადავეყარე (თბილისის „დინამოსა“ და ზუგდიდის „ბაიას“ შორის), პროგრამაში მიუთითებელს.**

ფეხბურთის საწინააღმდეგო, თუნდაც ულიმღამო თანამედროვე ქართულისა, არაფერი არა მაქვს; რასაკვირველია, არ დავწვრილმანდებოდი და პირად იმედგაცრუებას გაზეთის ფურცლებზე არ გამოვიტანდი, მაგრამ ეს ხომ ტელევიზიის კულტურის, პრესტიჟის, იმის მხრივ მაყურებლის პატივისცემის საკითხია; როგორ არა, პროგრამა შეიძლება შეიცვალოს, ოღონდ ამის თაობაზე, მაყურებელს ხომ უნდა აცნობო, მოუბოდიშო და უთხრა, თუ როდისთვის გადაიდო ანონსირებული ნომერი; არც ერთი არხი არ იქცევა ასე მსგავს შემთხვევებში – არადა ამას ელემენტარული „ტელეწესიერება“, ტელეკორექტულობა, პროფესიულობა მოითხოვს...

**თამაზ ებანოიძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

## კადრი



## ანეკდოტები

ნაშუაღამევს ბინაში ტელეფონი რეკავს:

– ალო, თქვენს ფანჯარასთან ცხვრის ფარას ხომ არ ჩაუვლია?

– თქვენ, რა ჩამორჩით?

* * *

– შენ ჩემზე ბევრად მელოტი ხარ! – ეუბნება ერთი გაგულისებული მელოტი მეორეს.



– ვითომ რადაო? შენც, ჩემი არ იყოს, ხომ ერთი ბეწვიც არა გაქვს თავზე?

– სამაგიეროდ შენ ჩემზე ბევრად დიდი თავი გაქვს.

* * *

რეკლამა გაზეთში: „მაღაზიაში მიღებული თქვენი ჩეკებით მოგიყვებით თქვენს წარსულზე და გიწინასწარმეტყველებთ მომავალს“.

* * *

უნიკალური ოპერაცია ჩაატარა ახლახან ბულტერიერმა ბილიმ: ახლა მისი პატრონი მამაკაცი კი არა, ქალია.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24